MES 5 23 0000847592

07/07/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 23.06.2023
სხდომის დაწყების დრო: 12.09
სხდომის დასრულების დრო: 17:45
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ქეთევან ზურაშვილი** - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
7. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
8. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
9. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
11. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
12. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
13. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. **ნინო ღაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
15. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
16. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
17. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
18. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
19. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

სახელი, გვარი	**სტატუსი**	
1	თემური თექთუმანიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
2	თინათინ ბაჯელიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	თამარ გაგოშიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი	1
2	ანი ქიტიაშვილი		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი; ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;	1
3	შოთა ფოთოლაშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	1

4	ნინო ქიმერიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი	1
5	მაკა ბერიძე	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	რექტორი	2
6	ნინო მილაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	2
7	დავით ხობელია		პროგრამის ხელმძღვანელი	2
8	ნუგზარ თევდორაძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	2
9	ცისკარა ზარანდია		პროფესორი	2
10	გოჩა თუთბერიძე		რექტორი	3
11	სოფიო ხუნდაძე		ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	3
			,,ტურიზმის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო	3

12	მაია აზმაიფარაშვილი	შპს - ქუთაისის უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	
13	თეონა გრიგოლაშვილი		სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა დასამართლის ფაკულტეტის დეკანი.	3
14	თათია ხარაბაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	3
15	დავით მახვილაძე		სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	4
16	ხათუნა მხეიძე		სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	4
17	რუსუდან ქუთათელაძე		სტუ-ის ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი	4
18	ნოე ხოზრევანიძე		სტუ-ის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხელმძღვანელი	4
19	ნინო ჩიკვილაძე		სტუ-ის ბიზნესტ ექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	4
20	მარინა მეტრეველი		„სასტუმრო მომსახურების მართვის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო	4

		სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	
21	ნანი მამფორია		„სასტუმრომომსახურების“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	4
22	მანანა ვასაძე		„მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობისმენეჯმენტის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	4
23	თამარ ქობლიანიძე		ასოცირებული პროფესორი	4
24	მაკა ფირანიშვილი		ასოცირებული პროფესორი	4
25	ნანა ახალაია		სტუ-ის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	4
26	დიმიტრი გეგენავა	შპს სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტი	პრორექტორი	5
27	ნინო წიქვაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	5

28	თამთა მიქაბერიძე		ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი	5
29	იზოლდა ხოხაშვილი		ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	5
30	ვლადიმერ ღლონტი		პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	6
31	ლელა თურმანიძე		პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი	6
32	ნანი მამულაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის ,,სკოლამდელი განათლება“ ხელმძღვანელი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	6
33	ნატო შეროზია		ასოცირებული პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის ,,სკოლამდელი განათლება“ ხელმძღვანელი	6
34	თეონა ხუფენია		რექტორი	7

35	ნატო ქობულაძე	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პროგრამის თანახელმძღვანელი	7
36	ნინო ლაბარტყავა		პროგრამის თანახელმძღვანელი, კონსულტანტი	7
37	ქეთევან ლატარია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	7
38	დალი ბერანძე		განათლების მიმართულების კოორდინატორი	7

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	ნათია ბადრიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	1
2	ნინო ფარსადანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	2
		(ჩაერთო „ზუმით“)	

3	ნინო დავითაშვილი		2
4	ნინო პატარია	(ჩაერთო „ზუმით“)	2
5	ლიანა ზაგაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	2
6	ვალერი არღუთაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	3, 4
7	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	3
8	ია ბუცხრიკიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	3
9	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	4,5
10	ეკა დევიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	4,5
11	თამთა ლეკიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	4
12	მარიამი ალექსიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	4

13	ანი ქვათაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	5
14	შალვა მესხი	(ჩაერთო „ზუმით“)	5
15	ქეთევან აფთარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	6,7
16	ხათუნა დოლიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	6,7
17	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	6,7
18	ანა ჭრელაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	6,7

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკიტხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სასტუმრო მომსახურების“ საბაკალავრო, ,,მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო და "სასტუმრო მომსახურების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკიტხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სასტუმრო მომსახურების“ საბაკალავრო, ,,მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო და "სასტუმრო მომსახურების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

№	ინფორმაციას აგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია Applied Social Psychology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N1428366; 28.12. 2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	ე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის მაგისტრი Master of Psychology

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 - ფსიქოლოგია Psychology
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი.ჭავჭავაძის გამზ 11ა თბილისი, 0179 საქართველო
15	სჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა მამუკა ხუსკივაძემ და ნინო ჭალაგანიძემ.
საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, აღნიშნა რომ გაიცა 9 რეკომენდაცია მათგან კი შესრულებულ იქნა 5, რომელიც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, შიდა მონიტორინგის სამოქმედო გეგმას. გამოითხოვეს ინფორმაცია ინგლისური ენის მოთხოვნასთან დაკავშირებით და ეს რეკომენდაცია დაკმაყოფილებულ იქნა. რაც შეეხება დასწრება აქტივობის ქულას, ეს ნაწილობრივ იქნა შესრულებული. პრობლემად დარჩა ისევ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმი, მემორანდუმები და კურიკულუმის რუკა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, ესაუბრა მეორე რეკომენდაციაზე, რომელიც ფორმულირებულია შემდეგნაირად: ,,გადახედილი იქნეს კურიკულუმის რუკა და დაზუსტდეს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის დონე პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით''.

დაწესებულების წარმომადგენელმა ლილი ხეჩუაშვილმა აღნიშნა, რომ ეს არის იგივე რეკომენდაცია რაც იყო წინა ორ პროგრამაზე, კერძოდ ბავშვთა და მოზარდთა კონსულტირებაზე და შრომის და ორგანიზაციულ ფსიქოლოგიაზე. ახლაც იგივე პასუხზე რჩებიან, რაც წინაზე დააფიქსირეს, რომლის შემდეგაც აღნიშნული პროგრამების განხილვის დროს რეკომენდაცია მოეხსნათ. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის კრიტერიუმებს, ცვლილება განხორციელებული აქვთ განახლებული დაცვის წესი კი ვებ-გვერზე დევს, ის დასკვნა და დოკუმენტაცია რაც ექსპერტს მიეწოდა არის შარშანდელი. შესაბამისად ეს რეკომენდაციაც შესრულებულია. რაც შეეხება რეკომენდაციას ქულებთან დაკავშირებით თქვა, რომ აქ არის პრაქტიკის სილაბუსი, სადაც სტუდენტის დასწრება ფიზიკურად აუცილებელია. პროგრამის ხელმძღვანელმა არ შეცვალა არსებული, რადგან თვლის, რომ მისი სტუდენტები ფიზიკურად უნდა იყვნენ პრაქტიკის ობიექტზე. რაც შეეხება მემორანდუმებს, შეთანხმება არის 15 სტუდენტზე, დამატებით კი მისი განახლება და ჩაწერა პარტნიორმაც არ მიიჩნია საჭიროდ. თუ დაჟინებით იქნება მოთხოვნა რაოდენობის ჩაწერა იგი შეიძლება არ შესრულდეს, რადგან შეიძლება იყოს ხან მეტი ხან ნაკლები სტუდენტების რაოდენობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა დაწესებულებას მიმართა შეკითხვით, კერძოდ, ითხოვა დაზუსტება რა რაოდენობის სტუდენტი ჰყავდათ განსახილველ პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამჟამად 15 სტუდენტი ჰყავთ.
საბჭოს წევრმა აქვე დაამატა, რომ შრომით ხელშეკრულებაში უნდა ჩაიწეროს მაქსიმალური რაოდენობა და არ აქვს მნიშვნელობა რეალურად რამდენი სტუდენტი წავა პრაქტიკაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თავდაპირველი შეთანხმება ორგანიზაციებთან, იყო 15 სტუდენტი.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა კითხვა, კერძოდ, სადმე თუ ფიქსირდებოდა, რომ შეთანხმება იყო 15 სტუდენტზე?
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მემორანდუმებში არ ფიქსირდება, თუმცა გადახედავენ და შეცვლიან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:23 სთ
დასრულების დრო: 12:28 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად 60 კალენდარული დღის ვადის განსაზღვრის საკითხი.

მომხრე: 17
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, "გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით, დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში ოქმში მოცემული რეკომენდაციების შესრულება.

რეკომენდაციები:
1.1 რეკომენდირებულია, ჩატარდეს შრომის ბაზრის კვლევა და პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები დაზუსტდეს შრომის ბაზრის კვლევის შედეგებთან მიმართებით;
1.4 რეკომენდირებულია, გადახედილი იქნეს კურიკულუმის რუკა და დაზუსტდეს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის დონე პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით;
1.5 რეკომენდირებულია, გადაიხედოს და განახლდეს რიგ სასწავლო კურსებში ძირითადი სასწავლო მასალა;
1.5 რეკომენდირებულია, პრაქტიკის კურსის სილაბუსში აღწერილი იყოს პრაქტიკის გეგმა, რაც გულისხმობს პრაქტიკის ადგილზე თითოეული ვიზიტის დროს განსახორციელებელი აქტივობების მიზანს, შინაარსს, საშინაო დავალების ინსტრუქციას;
2.1 სამაგისტრო პროგრამის წინაპირობაში დაზუსტდეს ინგლისური ენის მოთხოვნის დონე სწავლების საფეხურთან მიმართებით;
2.2. რეკომენდირებულია, მემორანდუმები / ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან, ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობას;
2.4. რეკომენდებულია დასწრების ქულა შეიცვალოს აქტივობის ფორმით და აქტივობისთვის განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები;
2.4. რეკომენდებულია გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები F/FX შეფასებასთან მიმართებაში და გაიწეროს №3 ბრძანების მუხლი 4.19-ის მიხედვით;
5.1. რეკომენდირებულია, შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების ამოქმედება, პროგრამის განვითარების უზრუნველსაყოფად.

მეორე საკითხი. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციას აგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა / Public Administration
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	08/07/2022 №782156
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის ბაკალავრი Bachelor of Public Administratrion
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება Management and Administration
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 113 უნივერსიტეტის I კორპუსი. საქართველო 0800
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა თავმჯდომარის ჰანდკე სტეფანის მოხსენება სხდომის მონაწილეებს გააცნო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა, სადაც ექსპერტი ესალმება დამსწრე საზოგადოებას, ამბობს რომ ჰქონდა პატივი ყოფილიყო საჯარო მმართველობის პროგრამის შეფასებაში ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე. ჯგუფის მიერ პროგრამის შეფასება მიმდინარეობდა 16 მაისს ერთი დღის განმავლობაში, ვიზიტამდე ჰქონდათ ყველანაირი დოკუმენტი, რომელიც დაეხმარებოდათ ზედმიწევნით და ყურადღებით შეეფასებინათ პროგრამა, რომელიც აქამდეც უკვე აკრედიტებული იყო. პროგრამას აკრედიტაციის ვადა გასდიოდა და გასავლელი ჰქონდა გარკვეული ეტაპები. წინა აკრედიტაციის დროს იგი ვერ აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნებს და პირობებს რომელსაც საბჭოს წევრები აფასებენ. ექსპერტები მოწვეულები იყვნენ, რათა შეეფასებინათ პროგრამა. მათი შეხედულებით, უნივერსიტეტმა კარგად იმუშავა და ბევრი რამ შეცვალა საჯარო ადმინისტრირების პროგრამაში, რაც დადასტურდა არა მარტო მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, არამედ ინტერვიუების შედეგადაც, რომლებიც სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებთან ჩაატარეს. ასევე ამბობს, რომ პროგრამაზე ნამდვილად არის გარკვეული გაუმჯობესებები, ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრს ჰქონდა საკმარისი დრო განეხილა თითოეული სტანდარტი და განხორციელებული ცვლილებები. მათ ასევე განიხილეს არა მხოლოდ პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა, არამედ ის თუ როგორ ესადაგება პროგრამა შრომის ბაზრის მოთხოვნებს, კომპეტენციების პროფილს და პროგრამის მიზნებს. დასკვნის სახით ამბობს, რომ დაწესებულებას გადადგმული აქვს დიდი ნაბიჯები გაუმჯობესებისათვის იმასთან შეფასებით თუ რა შეფასება ჰქონდათ მათ ორი წლის წინ. ამიტომ ექსპერტების აზრით, დაწესებულებას ყველა სტანდარტი შესრულებული აქვს. შესაბამისად, საჯარო ადმინისტრირების პროგრამა შეესაბამება ყველა სტანდარტს, რაც დადებითი მხარეა, თუმცა ექსპერტებს ჰქონდათ რამდენიმე რჩევა რადგან ყოველთვის არის რაღაც გასაუმჯობესებელი გარკვეული მიმართულებებით. ყველა რჩევა წარმოდგენილია დასკვნაში. რჩევები გაცემულია იმისთვის, რომ პროგრამა განხორციელდეს გრძელვადიან პერსპექტივაში, რადგან ეს რეგიონისთვის ნამდვილად კარგი იქნება. პროგრამას აქვს ძლიერი მხარეები, რომ არა მარტო დაატრენინგოს კვალიფიციური ადამიანები საჯარო მმართველობისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ ჰქონდეს ინტეგრირებული მიდგომა და ჩართოს უმცირესობები და ადამიანები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებიდან და რეგიონებიდან.

ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შთაბეჭდილება, რომ დაწესებულებას აქვს კარგი პროგრამა და მათ უნდა გააგრძელონ ის რასაც აკეთებენ, და გაითვალისწინონ მათი რჩევები შემდგომი განვითარებისთვის. აქვე დაამატა, რომ მოხარულები არიან, რომ უნივერსიტეტმა ძალიან კარგად მიიღო ისინი, როგორც მათი სტუმრები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა ექსპერტს მიმართა დამაზუსტებელი შეკითხვით, კერძოდ, სთხოვა დაეზუსტებინა პროგრამის ძლიერ მხარეებთან დაკავშირებული საკითხი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ლიანა ზაგაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ პროგრამას ნამდვილად აქვს ძლიერი მხარეები, რაც ვიზიტის დროსაც გამოჩნდა. 3.1 ქვეპუნქტში მან შეაფასა, რომ მათ შემუშავებული აქვთ ისეთი მექანიზმები, რომელიც სტუდენტისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. კონკრეტულად აქვთ ლექტორთან კომუნიკაციის საათი, რომელიც ლექციის გარეთაა შესაძლებელი. რაც ცხადია, რომ ძლიერი მხარეა. ასევე აქვთ ჟურნალი, სადაც სტუდენტები მარტივად აფიქსირებენ საკუთარ შეფასებებსა და პრეტენზიებს, რაც მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ შესაძლოა სტუდენტს არ სურდეს კონკრეტული საკითხის განხილვა ლექტორთან ან დეკანთან, მაგრამ ეს შესაძლებლობას აძლევს თავად სტუდენტებმა მიიღონ მონაწილეობა, რაღაც საკითის გაუმჯობესებაში. ძლიერია მხარეა ასევე ის, რომ საკმაოდ მაღალია სტუდენტების ჩართულობა გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში და ტრენინგებში, რადგანაც ვიზიტის დროს როდესაც კითხვებს უსვამდა სტუდენტებს, რამდენიმე მათგანი გაცვლითი პროგრამით უცხოეთში იყო ნამყოფი ამავდროულად მათ მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული ტრენინგებსა და კონფერენციებში. ძლიერი მხარეა ასევე ის, რომ სტუდენტები გათვითცნობიერებული არიან იმაში თუ რას მოიცავს პროგრამა, კარგად იციან რა პროფესიის ადამიანი შეიძლება ჩამოყალიბდეს პროგრამის გავლის შემდეგ. რადან ზოგადად სტუდენტებმა ნაკლებად იციან რა უნდათ ან რა პროფესიაში უნდა გააგრძელონ მოღვაწეობა. შესაბამისად თვლის, რომ ამ მიმართულებით პროგრამას ძლიერი მხარეები ჰქონდა.

გოდერძი ბუჩაშვილმა ექსპერტთა ჯგუფს დაუსვა დამაზუსტებელი შეკითხვა, კერძოდ, გადახედეს თუ არა განსახილველ პროგრამაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციებს და როგორი იყო ექსპერტთა შეფასება აღნიშნულ საკითხზე?

ნინო ფარსადანიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ პროგრამის აკრედიტაციის პროცესში შეხედეს მთლიან პროგრამას კომპლექსურად და ასევე იმ მეხსიერების გათვალისწინებით, რაც წინა სააკრედიტაციო პროცეს უკავშირდებოდა. თქვა, რომ პროგრამა არსებითად არის გაუმჯობესებული წინა ვერსიასთან შედარებით, რომელიც ადრე იყო წარმოდგენილი სააკრედიტაციოდ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ექსპერტთა ჯგუფისთვის. იგივე კადრებთან მიმართებით პროგრამა გაძლიერებულია პრაქტიკოსი სპეციალისტებით. პროგრამის ხელმძღვანელთან საუბრისას აკრედიტაციის ვიზიტის განხორცილებისას დასვეს შესაბამისი კითხები პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით და თვითონ პრაქტიკოსი ლექტორების გააქტიურების მიმართულებით პროგრამაზე, რაზეც აბსოლუტურად ამომწურავი პასუხი მიიღეს. აქვე დაამატა რომ თვითონ პროგრამის ხელმძღვანელი არის ძალიან აქტიური იმისთვის, რომ პროგრამა პრაქტიკული კომპონენტებით გაძლიერდეს და ძალიან აქტიურ კომუნიკაციაში იმყოფება ასევე პოტენციურ დამსაქმებლებთან, რომელთა საკმაოდ შთამბეჭდავი და ძლიერი გუნდი იყო წარმოდგენილი აკრედიტაციის ვიზიტის დროს. შესაბამისად, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალიც არის გაძლიერებული და რეგიონის, ამ შემთხვევაში სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოცემული პროგრამა თავისი საკადრო შემადგენლობით სრულად ითვალისწინებს იმ მოთხოვნებს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
მაკა ბერიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს იმ დასკვნისთვის, რაც ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ მიიღეს. თქვა, რომ საკამოდ მნიშვნელოვანი იყო მათთვის ამ პროგრამის ისტორია და საკამოდ გასათვალისწინებელი. თქვა, რომ ჰქონდათ პირობითი აკრედიტაცია და კონკრეტული რეკომენდაციები დაიწყეს ანალიზით რატომ მოვიდნენ ამ დონემდე, იყო ძალიან სერიოზული ის მიზეზები, რომლებიც აღმოჩნდა პირობითი აკრედიტაციის საფუძვლად. ამიტომ დაწესებულება ძალიან სისტემურად მიუდგა ამ საკითხს, რამაც ინსტიტუციური ცვლილებებიც გამოიწვია. იგულისხმება ახალი ხარისხის სამსახურის უფროსის არჩევნები, ახლებური მიდგომები. მეორე ნაწილი იყო ის, რომ დეტალურად დაიწყეს თითოეული რეკომენდაციის შესრულება. პირობა მაშინ, რაც საბჭოს წინაშე ითქვა, ნდობა, რომელიც საბჭოს დაწესებულების მიმართ გამოიჩინა, გააცნობიერეს ყოველივე არსებული და დეტალურად დაიწყეს თითოეულის განხორციელება. აქვე დაამატა, რომ საბჭოს თავმჯდომარემ მნიშვნელოვანი კითხვა დასვა პერსონალთან დაკავშრებით, ერთ-ერთი მიღწევა სწორედ ეს არის. აღნიშნა, რომ მოიძიეს პერსონალი საჯარო მიმართულების კუთხით. მათ უკვე ჰყავთ აკადემიური პერსონალი და სწორედ ამ პროცესში აირჩიეს აკადემიური პერსონალი საჯარო მიმართულების კუთხით, ახალგაზრდების ჩართულობისთვის ასევე საჯარო მიმართულების დოქტორანტი ჩართეს პროგრამაში და გარკვეული მდგრადობისთვის დოქტორებიც ჰყავთ და დოქტორანტებიც, ასევე ჰყავთ ახალგაზრდა კადრებიც. აქვე აღსანიშნავია, რომ ეს დოქტორანტი მათი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. შეიძლება ითქვა, რომ მოწვეული და აკადემიური პერსონალი ფაქტობრივად განახლდა. ასევე განახლდა პროგრამის სტრუქტურა. ასევე ბევრად მისადაგებული აღმოჩნდა იმ მოთხოვნებთან, რაც ზოგადად საჯარო მოხელეს აქვს საქართველოში. გამოთქვამენ მზაობას რჩევების გათვალისწინებასთან მიმართებით. ეს არის პროცესი რომელიც უნივერსიტეტმა აუცილებლად უნდა განახორციელოს, უფრო მჭიდრო კავშირი საჯარო სექტორთან, მოქმედ საჯარო სამსახურებთან და ა.შ. ისინი ფიქრობენ რომ ყველა ის რეკომენდაცია შეასრულეს, რაც იყო გაცემული საბჭოს მიერ. რადგანაც უნივერსიტეტი ირჩევს ამ პროგრამას თავის საგანმანათლებლო სივრცისთვის, ისინი გააგრძელებენ პროგრამაზე მუშაობას. პროცესს, რომელიც დაიწყო, რომლის მიმართაც საბჭომ გარკვეული შანსი მისცა დაწესებულებას და ნდობა გამოუცხადა, დღევანდელი სხდომის შედეგებით როგორიც არ უნდა იყოს გააგრძელებენ ამ პროგრამაზე მუშაობას. შეინარჩუნებენ იმას, რაც კარგი აქვთ და გაითვალისწინებენ რჩევებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა გადაწყვეტილება ძალაში შესვლის თარიღად 2023 წლის 23 ივნისის განსაზღვრის თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:49 სთ
დასრულების დრო: 12:59 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით (31/12/2024) აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით (31/12/2024).

დაკმაყოფილდეს დაწესებულების შუამდგომლობა და გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 23 ივნისი

რეკომენდაციები:
2.2. რეკომენდებულია პრაქტიკის მემორანდუმებში მიეთითოს სტუდენტთა რაოდენობები.

რჩევები:
1.1 უსდ-მ უფრო დეტალურად უნდა შეიმუშაოს და სამაგალითოდ აჩვენოს, საჯარო მმართველობაში კონკრეტულად რომელ კარიერასა და საჯარო სამსახურის რომელ საფეხურს პასუხობს წინადებარე პროგრამა.
1.2. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა სტუდენტებს ამზადებს საჯარო სამსახურისთვის, ის უნდა მოიცავდეს უფრო მეტ პრაქტიკულ გამოცდილებას, ვიდრე მხოლოდ 10 კრედიტის ექვივალენტურს.
1.4. სასწავლო გეგმაში უნდა გაძლიერდეს დიგიტალიზაციისა და ციფრული ტრანსფორმაციის თემები და შესაბამისი კომპეტენციები. ეს მოიცავს, მაგალითად, იმ შემთხვევების ანალიზს, როდესაც საჯარო დაწესებულება ანალოგურ პროცესებს გარდაქმნის ციფრულ პროცესებად და ასევე მოიცავს იმას, თუ რომელი სოციალურ-ტექნიკური მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს ამ კონტექსტში. საზოგადოებაში და ადმინისტრაციულ ორგანიზაციაში ციფრული ტრანსფორმაციის შესახებ ცოდნა და უნარები შეიძლება განთავსდეს ცალკეულ მოდულებში ან სხვადასხვა კურსების შემადგენელ თემად.
4.1 პროგრამისათვის შემოთავაზების სახით, მიზანშეწონილია პროაქტიული ღონისძიებების გატარება, რათა გაიზარდოს შესაბამის სასწავლო სფეროში დოქტორის ხარისხის მქონე პირთა რიცხვი. ამის მიღწევა შესაძლებელია საჯარო ადმინისტრირების სფეროში კიდევ ორი დოქტორის დამატებით ამ უკანასკნელთა ამჟამინდელ რაოდენობაზე.
4.1 მიზანშეწონილია პროგრამის ხელმძღვანელმა რეგულარულად ჩაატაროს რეალობის შემოწმება საჯარო ადმინისტრირების რეფორმის (PAR) პროგრესის შესაფასებლად. ამის მიღწევა შესაძლებელია საქართველოს მთავრობასთან (GoG) თანამშრომლობით, რომელიც ხელმძღვანელობს PAR-ის ძალისხმევას ქვეყანაში.
4.1 სასურველია პროგრამის ხელმძღვანელმა რეგულარულად შეაფასოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ფაქტობრივი საჭიროებები მუნიციპალური ან ცენტრალური ხელისუფლების რეგიონულ ოფისებში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის, ასევე სოციალური თუ სხვა სერვისების მიმწოდებლების სიმწირის თვალსაზრისით. ეს შეფასება სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს შესძენს შრომის ბაზრის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას.

4.1 ამ პროცესის ხელშესაწყობად პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა დანიშნოს რეგულარული შეხვედრები მუნიციპალიტეტების მერებთან/მერის მოადგილეებთან და შესაბამისი დეპარტამენტების/ერთეულების ხელმძღვანელებთან, რათა განიხილონ მათთვის კონკრეტული სამუშაო ძალის საჭიროება. ამ დისკუსიებში ჩართვით პროგრამის ხელმძღვანელს შეუძლია უკეთ გაიგოს მუნიციპალიტეტების მოთხოვნები და მოლოდინები და შესაბამისობაში მოიყვანოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები.
4.1 გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იყოს ინფორმირებული დასაქმების პოტენციურ შესაძლებლობებზე როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებში. ეს ცოდნა პროგრამის ხელმძღვანელს საშუალებას მისცემს გაუძღვეს და მხარი დაუჭიროს სტუდენტებს კარიერული გზის გავლაში, რაც შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას - მიაწოდოს კვალიფიციური მუშახელი სახელმწიფო, კერძო და არაკომერციული ორგანიზაციებს მთელ რეგიონში.
4.1 ზემოთ მოყვანილი წინადადებების შესაბამისად პროგრამას საჭიროა დაემატოს შემდეგი კურსები ან თემები არსებულ კურსში:
4.1 საჯარო ადმინისტრირების საკანონმდებლო ბაზა საქართველოში (ყველა შესაბამისი კანონის იდენტიფიცირებისათვის მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობასთან კონსულტაციები)
4.1 ელექტრონული მმართველობა, მთავრობის IT ინფრასტრუქტურა, პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც გამოიყენება ადმინისტრაციულ ბიზნეს პროცესში როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ დონეზე
4.1 კურსი კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის შესახებ (საკანონმდებლო ბაზაზე და წარსულში არსებულ, რეალურ შემთხვევებზე დაყრდნობით)
4.1 კომუნიკაცია საჯარო ადმინისტრირებაში: წერილების წერა, სხვადასხვა ადმინისტრაციული დოკუმენტების წარმოება: ანგარიში, სტრატეგიები, სამოქმედო გეგმა, საჭიროებების ანალიზი, პოლიტიკის დოკუმენტების შედგენა და ისეთი ნორმატიული დოკუმენტების მომზადება, როგორიცაა ბრძანებები და განკარგულებები. პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისთვის შესაბამისი კანონმდებლობა უნდა ისწავლებოდეს.
4.3 მიზანშეწონილია თანამშრომლების წახალისება საჯარო ადმინისტრირების ისეთ კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად, როგორიცაა მაგალითად: ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საჯარო ადმინისტრირების ინსტიტუტებისა და სკოლების ქსელის
4.3 პერსონალს შორის აკადემიური ჩართულობისა და ცოდნის გავრცელების კულტურის გასაძლიერებლად, სასურველია უნივერსიტეტმა განიხილოს სპეციალური საჯარო ადმინისტრირების კვლევითი ცენტრის დაარსება, მსგავსად არსებული ბავშვთა უფლებების ცენტრისა. ეს კვლევითი ცენტრი მოემსახურებოდა საჯარო მმართველობის სფეროში კვლევის ჩატარებას, კონფერენციების ორგანიზებასა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებას. სეთი ცენტრის შექმნით, უნივერსიტეტს შეუძლია უზრუნველყოს პლატფორმა პერსონალისათვის, რათა წვლილი შეიტანონ საჯარო ადმინისტრირების ცოდნაში და ადგილობრივი გადაწყვეტილების მიმღებებს მოახდინონ ინფორმირება მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევებისა და იდეების შესახებ. გარდა ამისა, პერსონალის წახალისება - წაიკითხონ და გამოიწერონ შესაბამისი სამეცნიერო ჟურნალები, კიდევ უფრო გააძლიერებს მათ მიერ დარგის უახლესი მოვლენების გაგებას და ხელს შეუწყობს უწყვეტ სწავლასა და პროფესიულ ზრდას.
4.4 მტკიცე რჩევაა უნივერსიტეტის პერსონალისათვის გაცემული სოციალური გარანტიების გაძლიერება და გაუმჯობესება. სოციალური გარანტიების გაუმჯობესება გადამწყვეტია უნივერსიტეტის პერსონალის საერთო კეთილდღეობის, სამუშაოთი კმაყოფილებისა და სტაბილურობის მხარდაჭერისათვის. აუცილებელია პერსონალთან ღია და რეგულარულ კომუნიკაციაში ჩართვა მათი საჭიროებებისა და საზრუნავების გასაგებად და მათი უკუკავშირის ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სოციალური გარანტიების პოლიტიკასთან დაკავშირებით.

4.5 უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტმა უნდა გააგრძელოს აქტიური თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერნაციონალიზაციის მცდელობების გაძლიერების მიზნით. ამის მიღწევა შესაძლებელია ისეთ აქტივობებში მუდმივი ჩართულობით, როგორიცაა გაცვლითი პროგრამების კვლევა, საინფორმაციო კამპანიების მასპინძლობა და რეგულარული ინიციატივების ორგანიზება ყოველი სასწავლო წლის დეკემბერსა და ივნისში.

მესამე საკითხი. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციას აგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი Tourism
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№261, 11.11.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში Bachelor of Business Administration in Tourism
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	წერეთლის ქ. №13, ქ. ქუთაისი, 4600, საქართველო

15	სჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა დამსწრე პირებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის არმანდ ფაგანელის წერილობითი მიმოხილვა მოცემულ პროგრამასთან დაკავშირებით. სადაც ის ამბობს, რომ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის "ტურიზმის" პროგრამის შეფასება განხორციელდა 11 მაისს, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამამ აკრედიტაცია წინა ჯერზე 2011 წელს მიიღო, ინტერვიუებთან ერთად ჯგუფმა დაათვალიერა რესურსები და ინფრასტრუქტურა, ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და კონსტრუქციულ გარემოში. ქუთაისის უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ძირითადად შესაბამისობაშია ყველა სტანდარტთან. ექსპერტებმა ცენტრისგან 15 ივნისს მიიღეს დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციაში დაწესებულების წუხილი მე-3 რეკომენდაციის სწორი კლასიფიკაციის შესახებ ჩაითვალა მართებულად და სათანადო შესწორება იქნა შეტანილი და გადავიდა რჩევებში. ამჯერად პანელს აქვს გაცემული რეკომენდაციები და რჩევები. კერძოდ ორი რეკომენდაცია და 6 რჩევა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი გოჩა თუთბერიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა ცენტრს კვალიფიციური ჯგუფის შერჩევისთვის. აღნიშნა, რომ პროცესი მიმდინარეობდა ურთიერთდიალოგის რეჟიმში, მიიღეს ძალიან ბერი სასარგებლო რჩევა და რეკომენდაცია ექსპერტებისგან. ბოლოს დაამატა, რომ არსებულ რეკომენდაციებს და რჩევებს იზიარებენ.
სოფიო ხუნდაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს. აღნიშნა, რომ კოლეგიალურ გარემოში მიმდინარეობდა მუშაობა და დაწესებულებას ჰქონდა ყველანაირი შესაძლებლობა მოსაზრებები და არგუმენტები წარედგინა ექსპერტთა ჯგუფისთვის და ექსპერტთა ჯგუფი ღია იყო დაწესებულების პოზიციების მისაღებად. აღნიშნა,

რომ ორი რეკომენდაციაა გაცემული. ერთი ეხებოდა ლიტერატურის განახლების საკითხს და მეორე, დამსაქმებლებთან თანამშრომლობის განმტკიცებას. ამ რეკომენდაციებს, რა თქმა უნდა იზიარებენ, იაზრებენ რეკომენდაციების მნიშვნელობას და მუდმივად მუშაობენ ამ მიმართულებით. ლიტერატურის განახლებას რაც შეეხება, მოხდა დაკავშირება დასახელებული დასკვნის ნაწილში დასახელებული სასწავლო კურსების განმახორციელებელ პერსონალთან. მათგან ერთ-ერთი მუშაობს საკუთარ სახელმძღვანელოზე, რასაც გამოიყენებს სასწავლო კურსში. აქვთ მოლოდინი, რომ წლის ბოლომდე გამოუშვებს. შესაბამისად. განაახლებენ და ზოგადად ამ მიმართულებით იმუშავებენ. იმის დასადასტურებლად, რომ დაწესებულება ამ მიმართულებით ნამდვილად მუშაობს, დაასახელა მექანიზმი, რომელიც დაწესებულებას შემუშავებული აქვს ამ მიმართულებით. ყოველ სემესტრის დასაწყისში გაწერილი აქვთ წესი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გამოითხოვს ამ ინფომრაციას პროგრამის ხელმძღვანელებისგან, ზოგადად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ და რა თქმა უნდა მათ შორის განახლებული ლიტერატურის შესახებ აწვდის ინფორმაციას ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკა და პროგრამის ხელმძღვანელი კი მუდმივად მუშაობს ამ მიმართულებით. შესაბამისად, გააგრძელებენ აღნიშნულ კურსებში ლიტერატურის განახლების საკითხს. დამსაქმებლებთან თანამშრომლობას რაც შეეხება, ამ რეკომენდაციასაც იზიარებენ, დაწესებულება ამ მიმართულებით მუდმივად ზრუნავს, ამის დასტური კი არის ის, რომ აქვთ ყოველწლიური შეფასება დამსაქმებლების მხრიდან განხორციელებული პროგრამების შინაარსის და აქვთ მაგალითები, როცა დამსაქმებლების შეფასების საფუძველზე პროგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილებები, მათ შორის, შინაარსობრივი განხორციელდა. კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ იზიარებენ ამ რეკომენდაციის მნიშვნელობას. ამ რეკომენდაციას უკავშირებენ ერთ-ერთ რჩევას, რომელიც მოეწონათ და აღნიშნეს კიდეც ინტერვიუების დროს, რჩევა ეხება მენტორების პედაგოგიურ გადამზადებას, რასაც აუცილებლად გაიზიარებენ და მოახდენენ ამ მიმართულებით მუშაობას. აქვე დაამატა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრი, რომელსაც აქვს ორი ტრენინგ მოდული შემუშავებული მათ შორის ორი არის სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდებზე და ფიქრობენ ამ ტრენინგ-მოდულების მენტორებისთვის შეთავაზებას. ფიქრობენ, რომ ამ რჩევის შესრულება და გათვალისწინება ხელს შეუწყობს დასახელებული მეორე რეკომენდაციის შესრულებასაც. შესაბამისად ამ ყველაფერს იზიარებენ და გააგრძელებენ ამ მიმართულებით მუშაობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, მამუკა ხუსკივაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, და კითხვით მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს. აღნიშნა, რომ გაეცნო პროგრამას და პროგრამაში მარკეტინგის საფუძვლების გარდა არის მომსახურების მარკეტინგი, რაც მიაჩნია რომ არის ძალიან კარგი ვინაიდან ტურიზმი არის მომსახურების სფერო და გაძლიერება სწორია. რადგანაც საბაზრო ეკონომიკა ჭარბ წარმოების ეკონომიკაა უპირატესად დგას პროდუქციის გაყიდვის და არა წარმოების პრობლემა. რატომ ამჯობინეს მომსახურების მარკეტინგი და არა ტურიზმის მარკეტინგი, რომელიც აქვთ თავისუფალ კურსებში. ასევე, დასვა მეორე კითხვა რით არის განპირობებული, რომ მენეჯმენტის საფუძვლები პროგრამაში წარმოდგენილია 4 კრედიტით და საქართველოს ისტორია 5 კრედიტით. მაშინ, როდესაც ტურიზმის დარგობრივ მახასიათებელში ფაქტობრივად ერთ-ერთი სწავლის შედეგი არის პირდაპირ მენეჯმენტთან დაკავშირებული დაგეგმვა, ორგანიზება ხელმძღვანელობა და ა.შ.

დაწესებულების წარმოდგენილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. პირველ შეკითხვასთან დაკავშირებით თქვა, რომ მომსახურების მარკეტინგი ეს არის მომსახურების სფერო, აღნიშნა რომ გარე ექსპერტის მოსაზრებით შეიტანეს არჩევით სასწავლო კურსებში ტურიზმის მარკეტინგი იმიტომ, რომ ასევე ასწავლიან მარკეტინგის საფუძვლებს. თქვა რომ ამ ორ კურსს შორის ქეისებშია განსხვავება, თუმცა მომსახურების მარკეტინგი სრულიად ახალ თემატიკას

მოიცავს. როდესაც მონიტორინგი ჰქონდათ, შემოთავაზება იყო, რომ მომსახურების მარკეტინგი და მარკეტინგის საფუძვლები ერთ სასაწავლო კურსად ჩაესვათ და შეეთავაზებინათ სტუდენტებისთვის, თუმცა არ დაეთანხმნენ იმიტომ, რომ მარკეტინგის საფუძვლები ძალიან მნიშვნელოვანი შედეგზე გამყვანი სასწავლო კურსია. მომსახურების მარკეტინგიც ასევე შედეგზე გამყვანი კურსია. კომიტეტმა იმსჯელა ამ საკითხთან დაკავშირებით და გადაწყვიტეს, რომ ტურიზმის მარკეტინგი ყოფილიყო არჩევით სასწავლო კომპონენტად, რათა მსგავსი თემების და ქეისების შეთავაზება არ მომხდარიყო. მომსახურების მარკეტინგი მიაჩნიათ რომ ეს ძირითად სწავლის სფეროში იყოს გათვალისწინებული და ტურიზმის მარკეტინგი არჩევით სასწავლო კურსად. რაც შეეხება მეორე შეკითხვას, აღნიშნა, რომ მათ აქვთ სასწავლო კურსები 4 , 5 და 6 კრედიტიანი. სასწავლო კურსი მენეჯმენტის საფუძვლების შესახებ კომიტეტის სხდომის დროს მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ყოფილიყო ამ მოცულობის, რაც სრულიად მისაღები იყო, რადგან შედეგის მისაღებად იგი სრულიად საკმარისია. მიაჩნიათ, რომ საქართველოს ისტორია და საქართველოს გეოგრაფია 5 კრედიტიან კურსად საჭიროა, რადგან ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაა და მსგავსი თემატიკა ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის. ასევე აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება კომიტეტის სხდომაზე ერთობლივად იქნა მიღებული.

საბჭოს წევრი, ერმილე მესხია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, აღნიშნა, რომ გაეცნო პროგრამას დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა ორ საკითხთან დაკავშირებით. პირველი კითხვა ეხება სწავლის შედეგს, კონკრეტულად მე-5 შედეგს - "ამზადებს ტურიზმის ინდუსტრიაში ხარისხის უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების პროგრამებს'', აღნიშნა, რომ საინტერესოა ამ შედეგის შესაძლებლობა, რამდენად გაზომავდი და მიღწევადია ეს შედეგი და რომელი სასწავლო კურსით არის ეს შესაძლებელი. მეორე კითხვა ეხება საბაკალავრო ნაშრომის პროექტს, პროგრამაში პროექტია წარმოდგენილი შემდეგ კი განმარტებულია იხილეთ წესი, რომელიც, თავის მხრივ, მთლიანად აგებულია საბაკალავრო ნაშრომზე. ითხოვა დაზუსტება საბაკალავრო ნაშრომი და პროექტი იდენტურია თუ რამე განსხვავება მათ შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ შეკითხვასთან დაკავშირებით თქვა, რომ ეს საკითხი ეხება მდგრადობას, ისინი მდგრად განვითარებას ასწავლიან რამდენიმე სასწავლო კურსში, პრაქტიკის ობიექტზე ხდება ამ მიმართულებით ცოდნის განმტკიცება აღწევენ შედეგს რაც შეფასებადია. დღეს მდგრადი განვითარება აქტუალურია, მწვანე განვითარება, მწვანე ინვესტიციები, მწვავე ეკონომიკა რაც რამდენიმე სასწავლო კურსში თემატიკაში აქვთ მოცემული რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. ამ შედეგზე გაღრმავების დონით გადიან, განმტიცება კი ხდება პრაქტიკის ობიექტზე მოკვლევებიდან და ანალიზიდან გამომდინარე. რაც შეეხება მეორე შეკითხვას თქვა, რომ უნივერსიტეტს წესი აქვს შემუშავებული, ამ წესიდან გამომდინარე კომიტეტის სხდომაზე განისაზღვრა რადგანაც ტურიზმის პროგრამაა ჰქონოდათ საბაკალავრო პრაქტიკული ხასიათის პროექტი. მე-7 სემესტრში აქვთ პრაქტიკა, ხოლო მე-8 სემესტრში აქვთ საბაკალავრო პროექტი. ობიექტზე სტუდენტს შეუძლია ამ პრობლემებთან დაკავშირებით მონაცემები მოაგროვოს, ინფორმაცია მიიღოს გააანალიზოს კონკრეტულ ობიექტზე შემდეგ სემესტრში კი შეიმუშაოს საბაკალავრო პროექტი, პროექტი არის უფრო მრავალმხრივი იმ თვალსაზრისით რომ აქ ყველა უნარი შეიძლება გამოვლინდეს, ამიტომ გადაწყვიტეს პრაქტიკული ხასიათის პროექტი ყოფილიყო პროგრამაში.

ერმილე მესხიამ თქვა, რომ ანალოგიური შემთხევა სხვაგანაც ხვდებათ, უკვე დაწესებულების მსჯელობის დროს კი შესამჩნევია განსხვავება. აქვე დაამატა, რომ წესშიც რომ მსგავსი ახსნა განმარტება იყოს, კარგი იქნებოდა.

სოფიო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ მენეჯმენტის საფუძვლები არ არის ერთადერთი სასწავლო კურსი, რითაც მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხები ამოიწურება, საგანმანათლებლო

პროგრამაში ყველა მათგანი მითითებულია. საფუძვლების შესახებ სასწავლო კურსი არის მხოლოდ ზოგადი მიმოხილვა დეტალური განხილვა არის უკვე სხვა სასწავლო კურსებში. რომელსაც საერთო ჯამში დიდი მოცულობის კრედიტები ეთმობა. ადამიანის რესურსების მართვასთან დაკავშირებული, მათ შორის პროექტების მართვა, ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი და ა.შ. რაც მოცემულია სასწავლო გეგმაში. შესაბამისად ფიქრობენ, რომ მენეჯმენტთან დაკავშირებული დარგობრივი და მათ შორის მათი პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები სრულად არის დაფარული. რაც შეეხება პროექტს და ნაშრომის შესრულების წესს, აღნიშნა, რომ მართალია თვითონ წესს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი ჰქვია, თავად ტექსტში როცა ასახელებენ საბაკალავრო ნაშრომს, მითითებული აქვს პროექტიც, შესაბამისად დოკუმენტი ორივე საკითხს არეგულირებს. თავად წესი ზოგადია, სადაც განმარტებული არ არის განსხვავება, მაგრამ ეს წესები ორივე კომპონენტისთვის ვალიდურია. რაც შეეხება მე-5 შედეგის დაფარვას რაც შეეხება, არის არაერთი სასწავლო კურსი, რომელიც უზრუნველყოფს ამ შედეგის მიღწევას მათ შორის განმტკიცების დონეზე, 10-ზე მეტი სასწავლო კურსია, რომელიც ამ შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს.

გოდერძი ბუჩაშვილმა იკითხა, რომ კურსდამთავრებულებთან დასაქმების მაჩვენებლის კვალიფიკაციის შესაბამისად 28% და აქვს თუ არა დაწესებულებას ამ მიმართულებით რაიმე გეგმა, რომ ამ პროცენტულმა მაჩვენებელმა მოიმატოს.

სოფიო ხუნდაძემ თქვა, რომ მაჩვენებელი ნამდვილად არ არის სახარბიელო, არსებობს დეპარტამენტი, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი, რომელიც მუდმივად იკვლევს და ახლაც მიმდინარეობს ეს პროცესი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ არიან დასაქმებულები და არიან თუ არა დასაქმებულები კურსდამთავრებულები სპეციალობით. ცენტრი გეგმავს კონკრეტულ აქტივობებს და სთავაზობს კონსულტაციებს დასაქმების მიმართულებით, მაგალითად სამოტივაციო წერილის მომზადებას, ეფექტური რეზიუმეს და გასაუბრებების წარმოებას და ა.შ. ცენტრის მიერ ხდება შესაძლო ვაკანსიების მოკვლევა და ჯგუფს ეგზავნება ინფორმაცია შესაძლო ვაკანსიების შესახებ. არის ასევე პოტენციური დამსაქმებელების მოწვევის შემთხვევები.
დაწესებულების წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად 2023 წლის 23 ივნისის განსაზღვრის თაობაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:22 სთ
დასრულების დრო: 13:37 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

მომხრე: 19
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.
დაკმაყოფილდეს დაწესებულების შუამდგომლობა და გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 23 ივნისი.

რეკომენდაციები:
1.5 განახლდეს შემდეგი კურსების სავალდებულო ლიტერატურა: ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის მენეჯმენტი; საექსკურსიო მეცნიერება და გიდის ხელოვნება; მომსახურების მარკეტინგი.

რჩევები :
1.4 სასწავლო პროგრამის პოტენციურ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით უფრო მეტად უნდა გაძლიერდეს დამსაქმებლებთან თანამშრომლობა.
2.2 მიზანშეწონილი იქნება, თუ პრაქტიკის მენტორები იმ ორგანიზაციებიდან, სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკას, პერიოდულად გაიღრმავებენ და აიმაღლებენ პედაგოგიურ შესაძლებლობებს.
3.1 სტუდენტებისთვის სასარგებლო იქნებოდა, თუ მათ შესთავაზებენ ინგლისური ენის უფრო ინტენსიურ კურსებს, რათა ყველას ჰქონდეს გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა მიღების თანაბარი შესაძლებლობა.
4.3 გაძლიერდეს ინგლისური ენის სწავლება (მათ შორის დარგობრივი ინგლისურის), როგორ პერსონალის, ისე სტუდენტებისათვის.

მეოთხე საკითხი. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სასტუმრო მომსახურების“ საბაკალავრო, ,,მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო და "სასტუმრო მომსახურების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციას აგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ასტუმრო მომსახურება Hotel Services
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 50, 19.07.2016
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ურიზმის ბაკალავრი; Bachelor of Tourism
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენებ

12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, მ.კოსტავას ქუჩა №77 ,სასწავლო კორპუსი N6
15	სჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაციას აგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ასტუმრო მომსახურების მართვა Hotel Service Management
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 51 19.07.2016
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ურიზმის მაგისტრი Master of Tourism -
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება

12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, მ.კოსტავას ქუჩა №77 ,სასწავლო კორპუსი N6
15	სჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაციას აგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის ენეჯმენტი Sustainable Mountain Tourism and Hospitality Management
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№722884. 24.08.2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ურიზმის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
	სწავლების ენა	ქართული

12		
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, მ.კოსტავას ქუჩა №77 ,სასწავლო კორპუსი N6
15	სჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს მარინა მაისურაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ.
საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტი დავით სიხარულიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, თქვა რომ წარმოადგენს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას საგანმანათლებო პროგრამების კლასტერის შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტურიზმის კლასტერში, სადაც გაერთიანებულია სამი პროგრამა „სასტუმრო მომსახურების“ საბაკალავრო, ,,მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო და "სასტუმრო მომსახურების მართვის" სამაგისტრო პროგრამები. რაც შეეხება შესაბამისობას, 1-ლი სტანდარტი მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან, ხოლო დანარჩენი ოთხი სტანდარტი შესაბამისობაშია

მოთხოვნებთან. რაც შეეხება რეკომენდაციებს იგი ორ ნაწილად არის დაყოფილი ერთი არის კასტერული მეორე კი ინდივიდულაური. საუბარი დაიწყო კლასტერული რეკომენდაციებით, პირველი მათგანი ეხება სწავლის შედეგებს, კერძოდ, რეკომენდებულია სწავლის შედეგების რუკის დახვეწა, კერძოდ სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების მიმართების სწორად განსაზღვრა და სწავლის შედეგების მიღწევის (გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება) ლოგიკის დაცვა. მეორე რეკომენდაციაც სწავლის შედეგს ეხება კერძოდ, რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების რაოდენობრივი ინდიკატორები, რომელიიც მოცემულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში; ასევე სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში მოცემული ინდიკატორების გათვალისწინებით მოხდეს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა; განისაზღვრაოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდები და სამიზნე ნიშნულები“. მესამე რეკომენდაცია რეკომენდებულია დაწესებულებამ განახორციელოს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება თანმიმდევრულად სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით. მეოთხე რეკომენდაცია ეხება ჩართულობას აკადემური პერსონალის და დამსაქმებლების, რომელიც გულისხმობს გაძლიერებას სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შემუშავებასა და განხორციელებაში. რაც შეეხება ინდივიდულაურ რეკომენდაციებს, პირველი ეხება საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ,,სასტუმროს მომსახურებას'', კერძოდ, რეკომენდებულია, პროგრამის საგნობრივი დატვირთვის ცხრილში სასწავლო კურსებისთვის, როგორიცაა: ,,სასტუმროს სერვისები, ტურიზმის და სასტუმროების ეკონომიკა, სასტუმროს მენეჯმენტი, ტურიზმის მარკეტინგი, კვლევის მეთოდების საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა, ტუროპერეიტინგი, MICE ტურიზმი და ღონისძიებების მენეჯმენტი, სახელმწიფო და მუნიციპალური მმართველობა ტურიზმში, პრაქტიკა, კულტურული ტურიზმი, გარემო და ეკოტურიზმი, სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი, საბაკალავრო ნაშრომი, ღვინის ტურიზმი, აგროტურიზმი, სატრანსპორტო მომსახურება ტურიზმში” განისაზღვროს ადეკვატური დაშვების წინაპირობები. შემდეგი რეკომენდაცია ეხება სასტუმრო მომსახურების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას, სადაც რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დეტალური ინსტრუქციის გაწერა, სადაც მოცემული იქნება კვლევის განხორციელების სტანდარტების მიხედვით კვლევის პროცესის ყველა ეტაპი (ლიტერატურის ანალიზი, ჰიპოთეზების და საკვლევის კითხვების ფორმულირება, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები, ციტირების სტილი) და ასევე რეკომენდებულია გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე მონიტორინგი სამაგისტრო ნაშრომში კვლევის კომპონენტების გაძლიერების მიზნით. შემდეგი რეკომენდაცია ეხება „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტის” საბაკალავრო პროგრამას, კერძოდ რეკომენდებულია, პროგრამის საგნობრივი დატვირთვის ცხრილში გადამოწმდეს და სწორად განისაზღვრის სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები (გასტრონომიული ტურიზმი, MICE ტურიზმი, ტურისტული მომსახურების ხელოვნება, ბრენდმენეჯმენტი, საკურორტო ტურიზმი, ელექტრონული კომერცია ტურიზმში, ეკო-სასოფლო ტურიზმი, აგრო-ფერმერული ტურიზმი, მთის რეგიონალური ტურიზმი). შემდეგი რეკომენდაცია ეხება „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტის” საბაკალავრო პროგრამას, კერძოდ რეკომენდებულია, დაკორექტირდეს საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების: ,,აგრო-ფერმერული ტურიზმი, ეკო-სასოფლო ტურიზმი, მთიანი გარემოს ეკოლოგია, მდგრადი ტურიზმი და თანამედროვეობა, მთის მდგრადი განვითარების საფუძვლები, მთის რეგიონალური ტურიზმი, საქართველოს მთიანი რეგიონების ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი და ა.შ.” სილაბუსების თემატიკა და შესაბამისად განახლდეს ლიტერატურა. ბოლო რეკომენდაცია ეხება სასტუმრო მომსახურების, საბაკალავრო პროგრამას, კერძოდ რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები/პროცედურები და იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დავით მახვილაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კვალიფიციური შეფასებისთვის. თქვა, რომ კლასტერში აკრედიტაციის მიღების მიზნით წარმოდგენილია 3 პროგრამა. ყველა რეკომენდაცია მიიღო დაწესებულებამ, რაც გამოწვეულია კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით. აღნიშნა, რომ შეფასებები არის წარმოდგენილი ძალიან ადეკვატურად, თითოეული რეკომენდაცია და რჩევა თითოეულ მითითებასთან დაკავშირებით არის სწორად განსაზღვრული. არცერთი რეკომენდაცია თუ რჩევა არ არის ისეთი, რომელსაც შესასრულებლად სჭირდება ექვს თვეზე მეტი. აქვთ გარკვეული ხარვეზები სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით. არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნეს, რომ რამდენიმე სასწავლო კურსთან მიმართებით არ ეთანხმებიან. ეს არის კვლევის მეთოდების სილაბუსი, პრაქტიკა რომელიც მე-7 სემესტრში იკითხება, რომელსაც დაშვების წინაპირობად აქვს წინა ყველა დანარჩენი სემესტრის სავალდებულო კურსების გავლა. რაც შეეხება ლიტერატურის განახლების საკითხს ამ საკითზე ყოველთვის ზრუნავენ თუმცა გაუმჯობესება მუდმივი პროცესია და ამას გეგმიურად განახორციელებენ. ასევე ხაზი გაუსვა სწავლის შედეგების შეფასებას თქვა, მათ სწავლის შედეგების შეფასება ეტაპებად აქვთ დაყოფილი. აქვთ ყოველსემეტრული, აქვთ ყოველწლიური და აქვთ სრული ციკლის. ერთ პროგრამას მაგალითად სრული ციკლი ჯერ არ შესრულებია თავიდან ბოლომდე, მაგრამ რადგანაც ამ კუთხით გაჩნდა გარკვეული კითხვის ნიშნები ობიექტური შემფასებლების მხრიდან, დაწესებულება კიდევ ერთხელ გადახედავს ამ პროგრამასთან მიმართებით რაიმე დარგობრივი სპეციფიკა, ხომ არ გამორჩათ. თქვა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მხრივ ძალიან კარგი, მაგალითი იყო წინა სააკრედიტაციო მოსამზადებელ ეტაპზე ორი ფაკულტეტის თანამშრომლობა და ასევე ცენტრალურ ადმინისტრაციებთან თანამშრომლობა. აქვთ კარგი მაჩვენებელი დასაქმების კუთხით, რაოდენობები და არა პროცენტები მათ შეფასების დოკუმენტებში. თუმცა ყველა პროგრამაზე 70% ზემოთ არის წარმოდგენილი დასაქმებული სტუდენტები და დასაქმებულებში 75% ზემოთ არის პროფესიით დასაქმებულ პირთა რაოდენობა. კონკრეტულ პროგრამაში მაგისტრატურის შემთხევაში დასასაქმებელი დარჩა 5 კურსდამთავრებული, აქედან ორი საზღვარგარეთ იმყოფება, ორმა ოჯახური პირობები დაასახელა მიზეზად, შესაბამისად დაუსაქმებლობის მიზეზი ყველა შემთხვევაში პირადულია და არ არის სიტუაცია ისე რომ ჰქონდეთ დასაქმების სურვილი და ვერ საქმდებოდნენ. ერთ-ერთ რეკომენდაციაშია მოცემული უშუალოდ პროგრამებზე დაშვების წინაპირობა იყოს გარკვეულწილად მოდიფიცირებული. ბაკალავრიატის პროგრამებზე მოცემული აქვთ ის წესი ჩარიცხვისა, რაც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით ერთიანი ეროვნული გამოცდები. სწორედ ამ ნაწილშია გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა ექსპერტთა მითითებებთან მიმართებით, რადგანაც ამ პროგრამებს რაიმე განსაკუთრებული სხვა ტიპის სპეციფიკა ისევე, როგორც თითქმის ყველა უმრავლეს საბაკალავრო პროგრამებთან მიმართებით აქვთ გამოყენებული და არ აქვთ სხვა წესი დადგენილი. რაც შეეხება მაგისტრატურის ნაწილს, ეთანხმებიან ექსპერტებს, კერძოდ, გარდა საერთო სამაგისტრო გამოცდისა, მათ აქვთ შიდა დარგობრივი გამოცდა, ხოლო მეორე ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურება. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ცენტრში გამოცდის ჩაბარების, ხოლო მეორე შესაძლებლობაა დამადასტურებელი სერთიფიკატის წარდგენა. მითითება კი იყო მომხდარიყო სერტიფიკატის ხარისხის დადასტურება, ჩამოეთვალათ ის საერთაშორისოდ აღიარებული მასერტიფიცირებული ორგანოები, რომელთა B2 დონეზე დადასტურებული ცოდნა იქნებოდა მათთვის ვალიდური.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ შთამბეჭდავია, კვალიფიკაციის მიხედვით კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი პროგრამა 1-ში წერია, რომ არის 15 ადამიანი, დასვა კითხვა თუ სულ რამდენმა სტუდენტმა დაამთავრა პროგრამა?

დავით მახვილაძემ განმარტა, რომ სულ არის 20 კურსდამთავრებული. აქედან 9 არის თავის პროფესიით დასაქმებული, 6 არა თავისი პროფესიით, თუმცა კარგი სამუშაო პირობებით.

გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ ის საუბრობს სასტუმროს მომსახურებაზე. აქვე დაამატა, რომ მიღების მაჩვენებელი არ არის მაღალი პროგრამაზე. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ახალ პროგრამაზე, რაც არის მაგალითად მთის ფაკულტეტთან მიმართებაში, ძალიან დიდი კონკურსია არსებული განაცხადების მიხედვით, რაც შეეხება სხვა პროგრამებს, თქვა, რომ გამოცხადებიდან გამომდინარე არის წარმოდგენილი ეს რაოდენობები.

საბჭოს წევრი, ერმილე მესხია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას დასვა კითხვა საკითხის დასაზუსტებლად, რომელიც ეხება საბაკალავრო პროგრამებს. აღნიშნა, რომ სილაბუსში ზოგან მითითებულია საბაკალავრო ნაშრომი, ზოგან საკურსო სამუშაო, ზოგან კი ნახსენებია პროექტი. თუ დაითვლის სიტყვების რაოდენობას საბაკალავრო ნაშრომი ჭარბობს. ითხოვა დაზუსტება საბაკალავრო ნაშრომი კეთდება, პროექტი თუ საკურსო სამუშაო. რაც შეეხება შემდეგ კითხავს, მეორე პროგრამაში მიზანში გაცხადებულია, რომ ტურიზმის დარგის ფართო ცოდნასთან ერთად კურსდამთავრებულს სძენენ ტურიზმის პოლიტიკის და ა.შ. საჭირო ცოდნა და უნარები. აინტერესებს ტურიზმის პოლიტიკის საჭირო ცოდნა და უნარებს, რომელი სასწავლო კურსით აძლევენ, ერთ სასწავლო კურსში კერძოდ სახელმწიფო და მუნიციპალური მმართველობა ტურიზმში ერთი თემა არის ტურიზმის პოლიტიკა, მაგრამ როგორ მიაჩნია დაწესებულებას ერთი თემა საკმარისია თუ არა იმისთვის, რომ სტუდენტმა ბაკალავრიატში მიიღოს საჭირო ცოდნა და უნარი. ბოლო კითხვა ეხება სამაგისტრო პროგრამას, კერძოდ სასწავლო კურსს ტურისტული პროექტების მენეჯმენტი, აქ რომ ყოფილიყო სასწავლო კურსი პროექტის მენეჯმენტი, კითხვა არ გაჩნდებოდა. განსახილველი თემატიკა, რაც არის სასწავლო კურსში და მითითებული ლიტერატურა არ არის შესაბამისი ერთმანეთთან. სასწავლო კურსის ლიტერატურა პასუხობს პროექტების მენეჯმენტს და არა ტურიზმის მიმართულებას. დასახელებულია მეორე წიგნი უცხოური, თუმცა შენიშვნაში მითითებულია, რომ ჯერ ბრუნვაში არ არის და იგი მოქმედებაში შევა 2023-2024 წლიდან, თუმცა წიგნი რომც შემოვიდეს ეხება პროექტის მენეჯმენტს. ხომ არ ფიქრობს დაწესებულება, რომ ეს სასწავლო კურსი უნდა გადაკეთდეს პროექტების მენეჯმენტად. თუ უნდა დარჩეს იმ რესურსებით, რაც აქვთ ან ტურიზმის პროექტების მენეჯმენტს დაემატოს ის სასწავლო რესურსები რაც ამ სასწავლო კურსის შედეგებით იქნება გათვალისწინებული.

დავით მახვილაძემ თქვა, რომ გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომი.

დაწესებულების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები ორივე პროგრამაში შეძენილია ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით და შესაძლებელია ტურიზმის პოლიტიკის საკითხები განხილული იყოს სხვადასხვა სილაბუსებში. კლასტერზე მუშაობის პერიოდში გაითვალისწინეს დარგობრივი მაჩვენებლები და სამივე პროგრამაზე პოლიტიკის საკითხები ჩასმული არის.

მაგისტრატურის პროგრამის ხელმძღვანელი მიესალმა დამსწრე საზოგადებას, ისაუბრა მაგისტრატურის პროგრამაში ტურისტული პროგრამების მენეჯმენტთან დაკავშირებით. თქვა, რომ ინვესტიციები მაქსიმალურად იდება საქართველოს ეკონომიკაში ტურიზმის მიმართულებით, ამავდროულად არის უამრავი სახელმწიფო პროექტი, რომელიც ტურისტული

რესურსების გამრავალფეროვნებაზე მუშაობს და მაქსიმალურად ზრდის შესაბამის ინფრასტრუქტურას. ამ პროექტების კარგად ცოდნის გამო დააკონკრეტეს და ტურიზმის პროექტების მენეჯმენტი დაარქვეს. აქვე დაამატა, რომ ძალიან მწირია ტურიზმის მენეჯმენტთან დაკავშირებით ახალი ლიტერატურა განსაკუთრებით კი ქართული. ამასთანავე მოიძიეს უცხოური სტატიები, მაქსიმალურად ეცადნენ თეორიაზე მეტად ყოფილიყო პრაქტიკული საგანი და შექმნეს რიდერი. რიდერი კი შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს კარგად აითვისონ საგანი.

დავით მახვილაძემ დაამატა, რომ ამ კუთხით ყურადღებას მაქსიმალურად გაამახვილებენ და ეცდებიან მეტი სავალდებულო ლიტერატურა შეიტანონ. რაც შეეხება მეორე კითხვას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მოუწევთ პროგრამის გაძლიერება.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად 2023 წლის 23 ივნისის განსაზღვრის თაობაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:04 სთ
დასრულების დრო: 14:15 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სასტუმრო მომსახურების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17
მოწინააღმდეგე:0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სასტუმრო მომსახურების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცის 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

რეკომენდაციები:
1.2 რეკომენდებულია სწავლის შედეგების რუკის დახვეწა, კერძოდ სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების მიმართების სწორად განსაზღვრა და სწავლის შედეგების მიღწევის (გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება) ლოგიკის დაცვა.
1.3. რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების რაოდენობრივი ინდიკატორები, რომელიც მოცემულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში; ასევე სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში მოცემული ინდიკატორების გათვალისწინებით

მოხდეს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა; განისაზღვრაოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდები და სამიზნე ნიშნულები.
1.3. რეკომენდებულია დაწესებულებამ განახორციელოს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება თანმიმდევრულად სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით.
1.4 რეკომენდებულია, პროგრამის საგნობრივი დატვირთვის ცხრილში სასწავლო კურსებისთვის, როგორიცაა: ,,სასტუმროს სერვისები, ტურიზმის და სასტუმროების ეკონომიკა, სასტუმროს მენეჯმენტი,ტურიზმის მარკეტინგი, კვლევის მეთოდების საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა, ტუროპერეიტინგი, MICE ტურიზმი და ღონისძიებების მენეჯმენტი, სახელმწიფო და მუნიციპალური მმართველობა ტურიზმში, პრაქტიკა, კულტურული ტურიზმი, გარემო და ეკოტურიზმი, სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი, საბაკალავრო ნაშრომი, ღვინის ტურიზმი, აგროტურიზმი, სატრანსპორტო მომსახურება ტურიზმში" განისაზღვროს ადეკვატური დაშვების წინაპირობები.
2.1 რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები/პროცედურები და იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი.
5.1 რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის და დამსაქმებლების ჩართულობის გაძლიერება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შემუშავებასა და განხორციელებაში.

რჩევები:
1. სასურველია შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების დახვეწა კვლევის შედეგების სანდოობის გასაზრდელად.
2. სასურველია კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ცალკეულ სამუშაო ჯგუფებს გააჩნდეთ უფრო მჭიდრო კომუნიკაცია და საერთო ზოგადი ხედვა, პროგრამების კლასტერულად განვითარების თვალსაზრისით.
3. სასურველია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობის გაძლიერება პროგრამის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცის 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

რეკომენდაციები:
1.2 რეკომენდებულია სწავლის შედეგების რუკის დახვეწა, კერძოდ სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების მიმართების სწორად განსაზღვრა და სწავლის შედეგების მიღწევის (გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება) ლოგიკის დაცვა.
1.3. რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების რაოდენობრივი ინდიკატორები, რომელიც მოცემულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში; ასევე სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში მოცემული ინდიკატორების გათვალისწინებით მოხდეს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა; განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდები და სამიზნე ნიშნულები.
1.3. რეკომენდებულია დაწესებულებამ განახორციელოს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება თანმიმდევრულად სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით.
1.4 რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დეტალური ინსტრუქციის გაწერა, სადაც მოცემული იქნება კვლევის განხორციელების სტანდარტების მიხედვით კვლევის პროცესის ყველა ეტაპი (ლიტერატურის ანალიზი, ჰიპოთეზების და საკვლევის კითხვების ფორმულირება, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები, ციტირების სტილი) და ასევე რეკომენდებულია გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე მონიტორინგი სამაგისტრო ნაშრომში კვლევის კომპონენტების გაძლიერების მიზნით.
5.1 რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის და დამსაქმებლების ჩართულობის გაძლიერება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შემუშავებასა და განხორციელებაში.

რჩევები:
1. სასურველია შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების დახვეწა კვლევის შედეგების სანდოობის გასაზრდელად.
2. სასურველია კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ცალკეულ სამუშაო ჯგუფებს გააჩნდეთ უფრო მჭიდრო კომუნიკაცია და საერთო ზოგადი ხედვა, პროგრამების კლასტერულად განვითარების თვალსაზრისით.
3. სასურველია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობის გაძლიერება პროგრამის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე;
4. "სასტუმროს მომსახურება" მიზანში ტურიზმის პოლიტიკის თემა აისახოს შესაბამის სასწავლო კურსებში ან შემოღებულ იქნას სასწავლო კურსი "ტურიზმის პოლიტიკა".
5.. სასურველია, განისაზღვროს და გასაჯაროვდეს ,,ინგლისური ენის B2 დონის" დამადასტურებელი რომელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში თავისუფლდებიან პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველები გამოცდის ვალდებულებისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სასტუმრო მომსახურების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის

პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სასტუმრო მომსახურების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცის 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

რეკომენდაციები:

1.2 რეკომენდებულია სწავლის შედეგების რუკის დახვეწა, კერძოდ სწავლისშედეგებისა და სასწავლო კურსების მიმართების სწორად განსაზღვრა და სწავლის შედეგების მიღწევის (გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება) ლოგიკის დაცვა.

1.3. რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების რაოდენობრივი ინდიკატორები, რომელიც მოცემულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში; ასევე სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში მოცემული ინდიკატორების გათვალისწინებით მოხდეს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა; განისაზღვრაოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდები და სამიზნე ნიშნულები.

1.3. რეკომენდებულია დაწესებულებამ განახორციელოს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება თანმიმდევრულად სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით.

1.4 რეკომენდებულია, პროგრამის საგნობრივი დატვირთვის ცხრილში გადამოწმდეს და სწორად განისაზღვრის სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები (გასტრონომიული ტურიზმი, MICE ტურიზმი, ტურისტული მომსახურების ხელოვნება, ბრენდმენეჯმენტი, საკურორტო ტურიზმი, ელექტრონული კომერცია ტურიზმში, ეკო-სასოფლო ტურიზმი, აგრო-ფერმერული ტურიზმი, მთის რეგიონალური ტურიზმი).

1.5 რეკომენდებულია, დაკორექტირდეს საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების: ,,აგრო-ფერმერული ტურიზმი, ეკო-სასოფლო ტურიზმი, მთიანი გარემოს ეკოლოგია, მდგრადი ტურიზმი და თანამედროვეობა, მთის მდგრადი განვითარების საფუძვლები, მთის რეგიონალური ტურიზმი, საქართველოს მთიანი რეგიონების ტურისტულრეკრეაციული პოტენციალი და ა.შ.” სილაბუსების თემატიკა და შესაბამისად განახლდეს ლიტერატურა.

2.1 რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები/პროცედურები და იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი.

5.1 რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის და დამსაქმებლების ჩართულობის გაძლიერება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შემუშავებასა და განხორციელებაში.

რჩევები:

1. სასურველია შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების დახვეწა კვლევის შედეგების სანდოობის გასაზრდელად.
2. სასურველია კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ცალკეულ სამუშაო ჯგუფებს გააჩნდეთ უფრო მჭიდრო კომუნიკაცია და საერთო ზოგადი ხედვა, პროგრამების კლასტერულად განვითარების თვალსაზრისით.
3. სასურველია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობის გაძლიერება პროგრამის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე;
4. სასტუმროს მომსახურების მართვის სამაგისტრო პროგრამაში სასწავლო კურსის "ტურისტული პროექტების მენეჯმენტი" განახლდეს სასწავლო ლიტერატურა სასწავლო კურსის თემატიკის მიხედვით.
5. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია, ლიტერატურის განახლებასთან მიმართებით ქმედითი ღონისძიებების (მუდმივი/სისტემატური) გატარება

დაკმაყოფილდეს დაწესებულების შუამდგომლობა და ზემოხსენებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 23 ივნისი.

მეხუთე საკითხი. შპს სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაციას აგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი Tourism
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11/12/2012, 747
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ურიზმის ბაკალავრი; Bachelor of Tourism
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	აქართველო, 0186 თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. N3
15	სჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
დავით სიხარულიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, აღნიშნა რომ წამოადგენდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. თქვა, რომ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 2012 წლიდან, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს. რაც შეეხება სტანდარტებთან შესაბამისობას, 1-ლი სტანდარტი მეწილად შესაბამისია მოთხოვნებთან, ხოლო დანარჩენი სტანდარტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. რაც შეეხება რეკომენდაციებს, პირველი რეკომენდაცია ეხება სწავლის შედეგების შეფასების დახვეწას და გაუმჯობესებას, კერძოდ, პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას გააჩნია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, თუმცა აღნიშულ დოკუმენტში არ ფიქსირდებოდა სამიზნე ნიშნულები, ასევე სასწავლო კურსები, რომლითაც ფასდება თითოეული სწავლის შედეგი, რომელიც ასევე დოკუმენტშია მოცემული. დოკუმენტში ასევე არ ჩანს თუ რა პერიოდულობით ხდება სწავლის შედეგების შეფასება. ბუნდოვანია თუ როგორ ხდება სწავლის შედეგების მონიტორინგი სწავლის შედეგებთან დადარება და როგორ უზრუნველყოფს დაწესებულება სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის გაცნობას დაინტერესებული პირებისთვის. მეორე რეკომედაცია ეხება სწავლის შედეგების შეფასებას კერძოდ, რეკომენდებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის, კერძოდ სწავლის შედეგების შეფასების პროცესის გაცნობა დაინტერესებული მხარეებისათვის და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შემუშავებაში მათი ჩართულობის გაზრდა. მესამე რეკომენდაცია ეხება საგანმანათლებლო პროგამის სტრუქტურას, კერძო რეკომენდებულია, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის არჩევითი სასწავლო კურსების (ტურიზმის პოლიტიკა -საკანონმდებლო რეგულირება, ექსკურსიათმცოდნეობა და გიდის ხელოვნება, სამუზეუმო საქმე, კულტურული ტურიზმი, ტურიზმის ეკონომიკა, დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი) სავალდებულო კომპონენტში გადატანა. მეოთხე რეკომედაციაა, რეკომენდებულია, გადამოწმდეს და სწორად განისაზღვრის სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები (ტურისტული ფირმის მენეჯმენტი, ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში, ტურიზმის პოლიტიკა-საკანონმდებლო რეგულირება, ტურიზმის მარკეტინგი, დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი, ტურიზმის ეკონომიკა, MICE ტურიზმი);
მეხუთე რეკომენდაცია - რეკომენდებულია, განისაზღვროს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ წაკითხული სასწავლო კურსების ზღვრული ოდენობა. ხოლო ბოლო რეკომენდაცია, რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობის გაძლიერება პროგრამის განვითარების და

მოდიფიცირების პროცესში; მათთვის პროგრამის შინაარსისა და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების უშუალოდ გაცნობისა და შესაბამისი უკუკავშირის მიღების უზრუნველყოფით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დიმიტრი გეგენავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. თქვა, რომ რეკომენდაციების უმრავლესობა დაწესებულებისთვის მისაღებია, მათი გათვალისწინება შესაბამის სამუშაო გარემოში გარკვეული გადაფასებისა თუ განხილვის შედეგად შესაძლებელია.

თამთა მიქაბერიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის. თქვა, რომ მოცემულ დასკვნაში არცერთი რეკომენდაცი არ ყოფილა პრინციპულად შეუთავსებელი. წარმოდგენილი რჩევები და რეკომენდაციები ნამდვილად ემსახურება პროგრამის განვითარებას. საუბარი დაიწყო რეკომენდაცია 4.1-ით, სადაც საუბარია, რომ უნდა განისაზღვროს ზღვრული ოდენობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ წაკითხული სასწავლო კურსების, რაც დასკვნაში აღნიშნულია და კითხვებია დასმული ბევრი ხომ არ არის დატვირთვა აკადემიური პერსონალის. თქვა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის მაქსიმალური დატვირთვა არ აღემატება 5 სასწავლო კურს, მათ შოროს არის როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი საგნები. ამასთანავე მათი დატვირთვა გადანაწილებულია სხვადასხვა სემესტრებში. მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელის შემთხვევაში დაფიქსირებულია 7 სასწავლო კურსი ეს არის 5+2, ეს ხუთი არის როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი სასწავლო კურსები, ხოლო ორი სასწავლო კურსი ეს არის პრაქტიკა და საბაკალავრო პროექტი. აქვე დაამატა, რომ პრაქტიკის და საბაკალავრო პროექტის სილაბუსის ავტორი არის პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო უშუალო განმახორციელებელი არის სხვადასხვა აკადემიური პერსონალი, რომელსაც სტუდენტი არჩევს უშუალოდ საგნის რეგისტრაციის პროცესში, ამიტომ ამ სასწავლო კურსის დატვირთვა არ გადადის მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელზე. რაც შეეხება რეკომენდაცია 5.1, სადაც საუბარია რომ დაინტერესებული მხარეები უნდა იყვნენ გაძლიერებული პროგრამის განვითარების და მოდიფიცირების პროცესში. თქვა, რომ ინსტიტუციის პოზიციით, ეს რეკომენდაცია თავისი შინაარსიდან გამომდინარე არის უფრო რჩევითი ხასიათის. რადგანაც უნივერსიტეტი ახორციელებს დაინტერესებული მხარეების მუდმივ ჩართულობას პროგრამის შემუშავებაში და განვითარების პროცესში. აკადემიური პერსონალის და სტუდენტების ყოველსემესტრული გამოკითხვა ხდება ინსტიტუციის მიერ, ხოლო კურსდამთავრებულებს და დასაქმებულებს ყოველწლიურად უტარებენ გამოკითხვას. ახორციელებენ აკადემიური პერსონალის თვითშეფასებას, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში წერენ რეკომენდაციებს, პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით მის შემადგენელ კომპონენტებთან დაკავშირებით, თვით კურსდამთავრებულები აფასებენ პროგრამის დასრულების შემდეგ მიღებულ კომპეტენციებს, კურიკულუმის ძლიერ და გასაუმჯობესებლ მხარეებს, რაც შეეხება დამსაქმებლებს, უკვე მათი კურსდამთავრებულები რომელებიც მათთან მუშაობენ, აფასებენ მათ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლიანობას. მონაცემები მუშავდება და ეს რეკომენდაციები განიხილება როგორც ფაკულტეტის საბჭოზე, ასევე შემდეგ უკვე აკადემიური საბჭოს ფორმატში. ამ საბჭოებში წარმოდგენილი არიან, როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე სტუდენტები, რაც უზრუნველყოფს უკვე დაინტერესებული მხარეების მუდმივ ჩართულობას ამ პროგრამის განვითარების და მოდიფიცირების პროცესში შესაბამისი უკუკავშირების მიწოდებას.

იზოლდა ხოხოშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, ისაუბრა რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა გარკვეული საგნების არჩევითი კომპონენტიდან პროგრამის სავალდებულო

კომპონენტში გადატანაზე. შემოთავაზებული რეკომენდაცია ინსტიტუციისთვის ძირითადად მისაღებია, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ შემოთავაზებული ცვლილება განაპირობებს პროგრამის სტრუქტურის შეცვლას, ასევე მეტნაკლებად შეიცვლება პროგრამის მიზნები. აქედან გამომდინარე ცვლილება აუცილებლად განხორციელდება, თუმცა, უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების მკაცრი დაცვით. რაც გულისხმობს იმას, რომ ცვლილება განხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს და აკადემიური საბჭოს განხილვის შემდეგ და გადაწყვეტილება მიღებული იქნება ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობით. რაც შეეხება ერთადერთ საგანს, კონკრეტულად სამუზეუმო საქმეს, თვლიან რომ იგი ძალიან საინტერესოა და აძლიერებს პროგრამას, მაგრამ მისი შინაარსიდან და მიზნიდან გამომდინარე მიაჩნიათ, რომ იგი უნდა დარჩეს არჩევით კომპონენტში. ვინაიდან უნარები, რომელსაც სტუდენტი გამოიმუშავებს ამ საგნის შესწავლის დროს, არ უზრუნველყოფს პროგრამის საბოლოო მიზნის მიღწევას. თუმცა ეს საგანი პროგრამას აძლიერებს, როგორც მრავალი სხვა საინტერესო საგანი. რაც მნიშვნელოვანია ტურიზმის სპეციალობის სტუდენტისთვის მისი სხვადასხვა პრაქტიკული და თეორიული უნარების ჩამოყალიბებაში. რაც შეეხება მომდევნო რეკომენდაციას, გარკვეულ საგნებზე დაშვების წინაპირობების დამატებას, აღნიშნა, რომ რეკომენდაცია უნივერსიტეტისთვის ძირითადად მისაღებია და კონკრეტული სასწავლო პერსონალის ჩართულობით ბიზნესის და ტექნოლოგიების საბჭოს ჩართულობით გადაიხედება ყველა შემოთავაზებული საგნის წინაპირობა, განისაზღვრება დამატებით შესაფერისი საგნები - ტურიზმის პოლიტიკა და სამართლებრივი რეგულირება. ხელისშემშლელი ფაქტორია ის, რომ პროგრამაში მათ არ აქვთ ისეთი სპეციფიური საგანი რაც საშულებას მისცემდა, რომ დამატებით წინაპირობად განესაზღვრათ ზემოაღნიშნული საგნისთვის, გარდა ძირითადი საგნისა შეეტანათ დამატებითი წინაპირობა. აქვე დაამატა, რომ პროგრამის შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით რჩევები იყო საინტერესო, რაც გათვალისწინებულ იქნება.

ნინო წიქვაძე მიესამა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის. ისაუბრა რეკომენდაციებზე, რომელიც ეხებოდა სწავლის შედეგებს თქვა, რომ პროგრამას თან ახლავს მნიშვნელოვანი დოკუმენტი ეს არის ტურიზმის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებისა და შეფასების გეგმა, სადაც წარმოდგენილია ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი, რომლითაც გადიან პროგრამის სწავლის შედეგებზე და სქემატურად მიეთითება ყველა პროგრამის სწავლის შედეგზე, რომელი სასწავლო კურსის მიხედვით გადიან. აქვე წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებად მიჩნეული შეფასების რანჟირების სკალა.
რაც შეეხება მონიტორინგის წარმოებას, აღნიშნა, რომ ამ კონკრეტულ დოკუმენტში არ არის მოცემული, მაგრამ ნამდვილად არის გაწერილი და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის შეფასების შედეგების წესში, სადაც კონკრეტული მე-7 მუხლი მოიცავს სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს, ამ ანალიზის ყოველი წლის ბოლოს შესაბამისი ფაკულტეტი ადგენს და შედგენის პროცესში ითვალისწინებს გასული წლის მონაცემების ანალიზს, ამის შემდეგ ეს ინფორმაცია გროვდება ხარისხის სამსახურში და საბოლოოდ უკვე აკადემიურ საბჭოზე განიხილება გაფართოებულ ფორმატში, სადაც მიიღება კონკრეტული რეკომენდაციები და გასაუმჯობესებელი მხარეები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
მამუკა ხუსკივაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს რომ ბოლო წლებში ამცირებენ მისაღები კონტიგენტის რაოდენობას, მცირდება ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა და ჩარიცხულთა რაოდენობა ბოლო 2 წელიწადში არის 5 და 8 სტუდენტი. ფაქტია მოთხოვნა შემცირებულია პროგრამაზე. დასვა კითხვა თუ გაანალიზეს ფაქტორები რამაც უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა პროგრამაზე მოთხოვნის ფორმირებაში. დასვა ასევე მეორე კითხვა, თქვა რომ ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი არის სწავლის შედეგი, რომლითაც

კურსდამთავრებულმა უნდა განიხილოს საფინანსო ეკონომიკური, სოციალურ კულტურული, ეთნიკური ეკონომიკური საკითები, რაც პრაქტიკულად საფუძველია საქმიანობის პროცესისა ტურიზმში. აღნიშნა, რომ ეს შედეგი ვერ ნახა პროგრამის სწავლის შედეგებში განსაკუთრებით საფინანსო ეკონომიკურ და პოლიტიკურ სამართლებრივი საკითხები შესაბამისად სასწავლო კურსებიც არ არის ძირითად საგანთა ჩამონათვალში და ფიქრობს ამას ემსახურებოდა ექსპერტების რეკომენდაცია, რომ იგივე ტურიზმის ეკონომიკა, ტურიზმის პოლიტიკა და საკანონმდებლო რეგულირება და კულტურული ტურიზმი გადასულიყო არჩევითიდან ძირითად სასწავლო კურსებში, მაგრამ არგუმენტირებულ პასუხში ვერ ამოიკითხა მკაფიოდ რომ ეთანხმებიან ამ რეკომენდაციას. ითხოვა ამ საკითხის დაზუსტება.

თამთა მიქაბერიძემ განმარტა, რომ მათ 5 წლის მაჩვენებელი აქვთ ჩარიცხვის და მესამე ჩარიცხვის დროს საკმაოდ მაღალი რიცხვია, მიუხედავად იმისა, რომ უკვე დაწყებული იყო პანდემია, ჩარიცხვა შემცირებული არ იყო. შემდეგ პერიოდში ტურიზმის სფერო საერთოდ ჩავარდა, რაც ეხება ყველა უნივერსიტეტს. ჩავარდნა ჰქონდათ ორი წლის განმავლობაში, რაც გამოწვეული იყო პანდემიური პროცესებით. ახლა კი ელოდებიან მატებას განხორციელებული და განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე. რაც შეეხება მეორე შეკითხვას, თქვა რომ ტურიზმის ეკონომიკის საკითხები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. რაზეც ძალიან ბევრი იმსჯელეს თვითონ საგნის განმახორცილებლებთან ერთად და ფაკულტეტის საბჭოებზე. არჩევით ნაწილში იმიტომ ჰქონდათ, რომ ეკონომიკური საკითხები საკმაოდ მოცულობითად არის წარმოდგენილი. მაგალითად მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა. ტურიზმის სტატისტიკა შემდეგ უკვე ფინანსური აღრიცხვა რომელიც საკმაოდ მსუყედ არის წარმოდგენილი პროგრამაში. ამ რეკომენდაციას კი დაეთანხმნენ. აღნიშნა, რომ მხოლოდ სამუზეუმო საგნის გადმოტანას არ ეთანხმებიან სავალდებულოდან არჩევით ნაწილში.

დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ ამ საკითხს აუცილებლად განიხილავენ, რადგან მას პროგრამის ხელმძღვანელიც ეთანხმება, რაც შეეხება წარმოდგენილ არგუმენტირებულ პასუხს ეს იყო ფორმალობა. ერთი საგნის გარდა, რომელზეც საუბარი იყო ეთანხმებიან რეკომენდაციას და თვლიან რომ ეს წაადგება პროგრამას.

საბჭოს წევრი ქეთევან ქუთათელაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, დასვა კითხვები, კერძოდ პირველი ეხებოდა პრაქტიკასა და საბაკალავრო ნაშრომს, რომელიც წარმოდგენილია ერთი და იგივე სემესტრში, ითხოვა დაწესებულებისგან დაზუსტება რა მოსაზრებით არის ეს ერთ სემესტრში. ორივე ამ სასწავლო კომპონენტის შეფასებაში, როდესაც კრიტერიუმებია ჩამოთვლილი ქულებს შორის არის დიდი გრადაცია, დასვა კითხვა რამდენად არის ეს რეალური და სტუდენტებისთვის მისაღები.

თამთა მიქაბერიძემ თქვა, რომ საბაკალავრო პრაქტიკა და პროექტიც არის ბოლო სემესტრში, რადგან იგი აჯამებს შეძენილ უნარებს. შესაბამისად პრაქტიკის და საბაკალავრო პროგრამის წინაპირობაც ძირითადად არის თითქმის ყველა სავალდებულო კურსი რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ამიტომაც არის ის ბოლო ნაწილში. თუ კითხვა იმიტომ დაისვა, რომ დადგინდეს ეს რამდენად შეესაბამება დატვირთვებს, აღნიშნა, რომ მათ რჩებათ ორი სასწავლო კურსი რასაც გადიან. ეს ყველაფერი პრაქტიკის ობიექტების მხრიდან სრულად ხელშეწყობილია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მეორე კითხვასთან დაკავშირებით, კერძოდ ქულათა გრადაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამის შეფასების კომპონენტებში აქვთ როგორც შუალედური, ასევე დასკვნითი შეფასება, შუალედური შეფასების ძირითადი შემფასებელი საბაკალავრო პროექტის შემთხვევაში არის პროექტის ხელმძღვანელი, ამიტომ ჯერ ხდება მიმდინარე აქტივობების შეფასება, რომელიც ჯერ 20

ქულიანი შეფასებით ფასდება, შემდეგი არის საბაკალავრო პროექტის შუალედური შეფასება, რომელიც ასევე 20 ქულით ფასდება, შემდეგ არის ხელმძღვანელის დასკვნითი შეფასება საჯარო დაცვამდე. ჯამში უნდა იყოს 70 ქულა მაქსიმალური შეფასება, შემდეგ სტუდენტი გადის საჯარო დაცვაზე, სადაც მაქსიმალურ ქულას აგროვებს 30 ქულას. აქ გაწერილია შესაძლო შეფასებები ნული ქულიდან მაქსიმუმ 20 ქულის ჩათვლით.

დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელების ფარგლებში არანაირი პრობლემა არ წარმოშობილა და ქულების ეს დიაპაზონი სრულად უზრუნველყოფს, როგორც სტუდენტის შეფასების გამჭირვალობას. აქვე აღნიშნა, რომ ამის გადახედვა კიდევ ერთხელ შეიძლება. აღნიშნული გავრცელებული პრაქტიკა გამომდინარე საგნის სპეციფიკიდან და დისციპლინის შეფასების ფაქტორებიდან. ამ შემთხვევაში ეს ეხება პროექტს და პრაქტიკას აღნიშნული საგნების მიხედვით, რაც განსხვავებულია და ზოგიერთი უნივერსიტეტის შემთხვევაში კონკრეტულად ამ საგანთან მიმართებით პრაქტიკა უფრო დიდი ლავირების შესაძლებლობასაც ითვალისწინებს, სწორედ პრაქტიკული კომპონენტის თავისებურებებიდან გამომდინარე.

ერმილე მესხია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. თქვა, რომ პროგრამის მატერიალურ რესურსში შენობა-ნაგებობები მითითებულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ბიბლიოთეკა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. აქ ალბათ ტექნიკური შეცდომაა, რადგან საუბარია საბაკალავრო პროგრამაზე.

რაზეც დაწესებულების წარმომადგენელებისგან დასტური მიიღო ტექნიკურ ხარვეზზე.

ერმილე მესხიამ თქვა, რომ ძირითად სასწავლო კურსებში, ყველა სასწავლო კურსი აქვთ 6 კრედიტიანი, დასვა კითხვა როგორ ფიქრობენ ყველა სასწავლო კურსს ერთი ოდენობის კრედიტი სჭირდება თუ არა. მაგალითად შესავალი ტურიზმში იყოს 6 კრედიტიანი და ტურისტული ფირმის მენეჯმენტი, ტურიზმისა და მდგრადი განვითრების მენეჯმენტი და ა.შ იყოს 6 კრედიტიანი. მესამე კითხვა ეხება სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგებს აინტერესებს დაწესებულება რა შეფასებას გააკეთებს. პროგრამის აქტიურ სტუდენტებში შეფასების წილი ჩამოთვლილია და ყველა შემთხვევაში სხვდასხვა. A-7 და ა.შ. ხოლო F41.
შემდეგი კითხვა ეხება ბაზრის კვლევას ფიქრობს, რომ საინტერესოა. წერია რომ სასწავლო კურსები უნდა იყოს მაქსიმალურად პრაქტიკაზე ორიენტირებული რაც არის დამსაქმებლის სურვილი, მაგრამ დაწესებულების კვლევის ანალიზში წერია, რომ პრაქტიკული უნარები გაუმჯობესების მიზნით, მრავალფეროვანი გახდება პროგრამის გარე აქტივობები. დასვა კითხვა აქედან გამომდინარე მიაჩნიათ თუ არა, რომ გარდა პრაქტიკისა რაც პროგრამაში არის, ზოგიერთი სასწავლო კურსი შეიძლება შეიცავდეს პრაქტიკის ელემენტებს. ეს შეიძლება იყოს მაგალითად ექსკურსიათმცოდნეობაში, გიდის ხელოვნებაში და ა.შ.
ბაზრის კვლევიდან გამომდინარე, სადაც უნარებია ჩამოთვლილი, ყურადღება გამახვილებულია, რომ ახდენს სამუშაოს ეტაპებად დაყოფას, შემდეგ კი დროს მენეჯმენტზეა ყურადღება გამახვილებული. დასვა კითხვა ამ უნარიდან გამომდინარე, რომელიმე სასწავლო კურსში არის თუ არა დროის მენეჯმენტთან დაკავშირებით გათვალისწინებული. სასწავლო კურსი საქმიანი ტურიზმი, მისი აზრით სასწავლო ლიტერატურა არ არის შესაბამისი ამ დასახელების კურსთან და თემატიკასთან. 1-ელ და მე-2 ლექციაში მითითებულია კაციტაძის სახელმძღვანელო 1-4 გვერდი, რაც მეორდება და იგივე მეორე ლექციაშიც 1-4 გვერდი, შემდეგ მითითებულია სხვა სახელმძღვანელო რომელიც საქმიანი ტურიზმის თემატიკასთან არ არის შესაბამისი.

კითხვით მიმართა ასევე ექსპერტებს, შესაძლებელია თუ არა პროფესიული განათლების მე-5 საფეხურისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო, რომელიც მოწონებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, იმავდროულად რომელიმე სასწავლო კურსში ბაკალავრიატში ძირითად სახელმძღვანელოდ იყოს მითითებული.
დიმიტრი გეგენავამ თქვა, რომ ჩაატარეს მოკვლევა გაანალიზეს ხარისხის სამსახურის ჩართულობით, F შედეგზე გამსვლელთა აბსოლუტური უმრავლესობა არის სტუდენტების კატეგორია, რომელიც არ აქტიურობს, არ მონაწილეობს სასწავლო პროცესში, დაწესებულებამ სპეციალურად შეისწავლა ყველა მათგანის ინფორმაცია, სამწუხაროდ საქართველოს რეალობა არის ის, რომ ადამიანთა ნაწილს უნდა უბრალოდ აქტიური სტუდენტის სტატუსი. პროცენტულად ეს შეიძლება დიდი ჩანდეს, მაგრამ საგნების მიხედვით ასე არ არის. შესაბამისად დაწესებულებამ გაიაზრა რამდენად შეიძლება ჰქონოდა გავლენა ამ ყველაფერს სწავლის შედეგების მიღწევაზე და მათ შორის პროგრამის შინაარსის გადახალისებაზე. ეს საკითხი აკადემიურ საბჭოზეც დაისვა შესაბამისად განიხილეს კიდეც და ამ საკითხთან დაკავშირებით აქვთ შემდეგი ნაბიჯებიც დაგეგმილი. ეს უკავშირდება სტუდენტების მოტივაციის ამაღლებასაც, რიგ შემთხვევებში კი ეს წარმოუდგენელიც კი იქნება ქართული სინამდვილის გათვალისწინებით. რაც შეეხება კრედიტების გადანაწილებას, ყველა კრედიტი აბსოლუტურად ამოდის იმ დატვირთვიდან და შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც არის გათვალისწინებული საგანში. რაც შეეხება კრედიტების დიზაინს და მოცულობას, აღნიშნა, რომ მსგავსი საკითხების დასაბუთება თუ რატომ უნდა იყოს 6 ან 5 და რა კოგნიტურ დანახარჯს მოითხოვს ამის მტკიცების ტვირთი არის ადამიანზე, ვისაც ეჭვი შეაქვს კრედიტების რაოდენობაში. დაწესებულების მხრიდან ის გაანგარიშება რაც კრედიტებში არის სრულად შეესაბამება, როგორც უნივერსიტეტში დადგენილს, ისე მინისტრის ბრძანებით ჩამოყალიბებულს სტანდარტს. კოგნიტური დანახარჯები დათვლილი აქვთ გვერდების რაოდენობით ასათვისებელი მასალის სირთულის, მათ შორის პროფესორის ჩართულობისა და სხვა აკადემიური პერსონალის ჩართულობით. შესაბამისად, დაწესებულების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით არის ის რომ ეს არ არის ხელოვნურად გაკეთებული, ამის დასტურად შეუძლია ნახონ უნივერსიტეტის სხვა პროგრამა, სადაც პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროფესორების ჩართულობით აბსოლუტურად განსხვავებული დიზაინი აქვს საგნების კრედიტებსაც მაჩვენებელს და კურიკულუმსაც. შესაბამისად, ეს არ ყოფილა მექანიკური ან ავტომატიზებული პროცესი ეს იყო გააზრებული პროცესი.

დაწესებულების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა უპასუხა შემდეგ კითხვას, თქვა რომ პრაქტიკული ნაწილის კომპონენტში გასვლითი ლექციები იგულისხმება. პრაქტიკული ნაწილი დაიყო ორ ნაწილად, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე დაწესებულებამ მოიაზრა რომ მაქსიმალურად გასვლითი ლექციები ყოფილიყო კონკრეტულ საგნებში, ბევრი აქვთ ტურისტული მიმართულებით ექსპედიციები, გასვლები, ტურების დაგეგმვა. კითხვის დასმისას ნახსენები იყო გიდის ხელოვნება ამ ნაწილში ტურებს გეგმავენ სტუდენტები, დადიან ექსპედიციებში ახორციელებენ ტურისტულ აქტივობებს ეს ნაწილი კი კიდევ უფრო გაზარდეს. თქვა, რომ ეს ნაწილი ეხებოდა კითხვას გასვლების შესახებ და პრაქტიკის გაზრდას აქვე დაამატა, რომ პრაქტიკა სულ სხვა საგანია და სულ სხვა რამეს ითვალისწინებს. რაც შეეხება საგანს ტექნოლოგიები ტურიზმში თქვა, რომ ყოველთვის იყო მოთხოვნა სწორედ, რომ შრომის ბაზრის მხრიდან, დამსაქმებლები და მათი კურსდამთავრებულებიც ხშირად აღნიშნავდნენ, რომ მეტი ტექნოლოგიები სჭირდებოდა და მეტი ტექნოლოგიური ნაწილის სწავლა ტურიზმში. სთხოვეს დამსაქმებლებს, რომლებიც თვითონ ჩაერთნენ და დაეხმარნენ სილაბუსის აწყობაში და მოდიფიცირებაში. შესაბამისად, გლობალურ გამანაწილებელი სისტემები, რაც სჭირდება ტურისტულ სააგენტოებს მუშაობის პროცესში, შეიტანეს და დანერგეს სასწავლო კურსებში. სექტემბრიდან კი დამსაქმებლებთან ერთად ჩატარდება ეს სასწავლო კურსები. რაც შეეხება კითხვას დროის მენეჯმენტთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ დროის მენეჯმენტი არ არის გათვალისწინებული არც სავალდებულო და არჩევით ნაწილში ცალკე საგნად, თუმცა,

მენეჯმენტის საგნები ძალიან ბევრია მოცემული მათ შორის მენეჯმენტის საფუძვლები, ბიზნესის საფუძვლები, პროექტების მართვა. აქვთ ძალიან ბევრი გარე აქტივობა და დროის მენეჯმენტის ტრენინგებს ძალიან ბევრს სთავაზობენ როგორც სტუდენტების განვითარების სამსახური, ასევე ჰყავთ ლექტორები, რომლებიც ტრენინგებს ხშირად სთავაზობენ, კურიკულუმის გარე აქტივობებში მსუყედ არის წარმოდგენილი. რაც შეეხება კითხვას საქმიან ტურიზმზე, აღინიშნა, რომ როდესაც მუშაობდნენ ამ პროგრამაზე, საკითხს წყვეტდნენ კოლეგიურად, ამ ყველაფერზე იმუშავა ლექტორმა და საგნის ხელმძღვანელმა, მაქსიმალურად მოხდა ლიტერატურის გადახალისება გამრავალფეროვნება, თუმცა, ძალიან მოკლე კურსია, 3 კრედიტიანი, რაც ნახევარ სემესტრს გულისხმობს, ატვირთვაც მცირეა და ლიტერატურაც მცირეა. ამ კუთხით ბევრი ლიტერატურა არ არის ხელმისაწვდომი, მაგრამ სურვილი აქვთ, ეს საგანი ხელმისაწვდომი იყოს.

რაც შეეხება ლიტერატურის შესაბამისობას აღნიშნა, რომ ლიტერატურის დამატებით მოცემა არასდროს არ არის პრობლემა სილაბუსებში, რომელიც შეიძლება უშუალოდ საკითხს ეხებოდეს ან ეს კონკრეტული ნაწილი სხვა დასახელების წიგნში იყოს. ასევე შეიძლება მითითებულ იყო იმ მასალად, რომელიც დაეხმარება კომპეტენციების ასამაღლებლად და შედეგზე გასასვლელად. ბოლო კითხვასთან დაკავშირებით თქვა, რომ მსგავსი აკრძალვა არ არსებობს კანონმდებლობით. ასევე დაამატა რომ ძალიან ბევრ სფეროში, სადაც კომპეტენციურად იმიჯნება პროფესიული და უმაღლესი განათლება, ბაკალავრიატისა და პროფესიული განათლების ძალიან ბევრი წიგნი შეიძლება განმეორდეს არა მხოლოდ ტურიზმის, არამედ სხვა დარგშიც. თუ ეს ლიტერატურა იქნება მითითებული კომპეტენციური გადაფარვა არ იქნება. რადგან პროფესიული განათლება არ არის საბაკალავრო განათლების ქვედა საფეხური, არამედ იგი არის აბსოლუტურად პარალელური და ხასიათდება პარარელიზმით. შესაბამისად, კონკრეტული ლიტერატურის გამოყენება საბაკალავრო პროგრამაში ამ მხრივ არ ქმნის რაიმე სირთულეს. მეტიც, განათლების პოლიტიკიდან გამომდინარე ეს სრულებით შესაძლებელია. აქ რომ საუბარი იყოს, რომ ეს არის სასკოლო სახელმძღვანელო, ან მაგისტრატურაში მეორდებოდეს ბაკალავრიატის ლიტერატურა, რომელიც ურთიერთგადამფარავია, პრობლემური იქნებოდა.

ექსპერტმა უპასუხა ბოლო კითხვას და აღნიშნა, რომ ზოგადად სავალდებულო ლიტერატურა და კურსის შინაარსი უნდა უზრუნველყოფდეს კურსის მიზანს და სწავლის შედეგებს, რაც თავის მხრივ უნდა იყოს შესაბამისი საბაკალავრო დონესთან. თუ გამოყენებული ლიტერატურა და კურსის შინაარსი პასუხობს არსებულს, მაშინ მისაღებია.

გოდერძი ბუჩაშვილმა 5.1 რეკომენდაციათან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულემამ თავისი პოზიცია დააფიქსირა არგუმენტირებულ პასუხში, ასევე ზეპირ მოსმენაზეც, ხოლო ის რაც ექსპერტებს უწერიათ დასკვნაში არის ფაქტობრივი გარემოება, სადაც ისინი ფიქრობენ რომ დამსაქმებელი უფრო მეტად უნდა იყოს ჩართული. დასვა კითხვა, თუ დამსაქმებლის ნაწილობრივი ჩართულობამ რა უარყოფითი გავლენა მოახდინა პროგრამის სწავლის შედეგებზე ან თუნდაც პროგრამის განვითარებაზე.

ექსპერტმა განმარტა, რომ მათ ჰქონდათ გასაუბრება დამსაქმებლებთან და დამსაქმებელების ჩართულობის სისუსტე გამოიხატებოდა იმაში, რომ როდესაც კურსდამთავრებული ამთავრებს პროგრამას მას უნდა ჰქონდეს ის უნარები, რაც უნდა პასუხობდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. გამომდინარე აქედან, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა თავისი სტანდარტებით პასუხობს მოთხოვნებს ექსპერტებისთვის მნიშვნელოვანი იყო დამსაქმებლის მოსაზრება. აქვე დაამატა, რომ დამსაქმებლის მოსაზრება არ იყო ადეკვატური, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი არ იცნობდნენ არსებულ სიტუაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად 2023 წლის 23 ივნისის განსაზღვრის თაობაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:23 სთ
დასრულების დრო: 15:37 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მომხრე: 19
მოწინააღმდეგე: 0

გადაწყვეტილება : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დაკმაყოფილდეს დაწესებულების შუამდგომლობა და გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 23 ივნისი.

რეკომენდაციები :
1.3.1 რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დახვეწა და გაუმჯობესება;
1.3.2 რეკომენდებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის, კერძოდ სწავლის შედეგების შეფასების პროცესის გაცნობა დაინტერესებული მხარეებისათვის და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შემუშავებაში მათი ჩართულობის გაზრდა.
1.4. რეკომენდებულია, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის არჩევითი სასწავლო კურსების (ტურიზმის პოლიტიკა -საკანონმდებლო რეგულირება, ექსკურსიათმცოდნეობა და გიდის ხელოვნება, კულტურული ტურიზმი, ტურიზმის ეკონომიკა, დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი) სავალდებულო კომპონენტში გადატანა.
1.4. რეკომენდებულია, გადამოწმდეს და სწორად განისაზღვროს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები (ტურისტული ფირმის მენეჯმენტი, ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში, ტურიზმის პოლიტიკა- საკანონმდებლო რეგულირება, ტურიზმის მარკეტინგი, დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი, ტურიზმის ეკონომიკა, MICE ტურიზმი)
4.1 რეკომენდებულია, განისაზღვროს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ წაკითხული სასწავლო კურსების ზღვრული ოდენობა.

5.1რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობის გაძლიერება პროგრამის განვითარების და მოდიფიცირების პროცესში; მათთვის პროგრამის შინაარსისა და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების უშუალოდ გაცნობისა და შესაბამისი უკუკავშირის მიღების უზრუნველყოფით.

რჩევები:

1. სასურველია, სასწავლო კურსში "საქმიანი ტურიზმი" სასწავლო ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს კურსის თემატიკასთან და შინაარსთან.
2. სასურველია ყველა მემორანდუმში იყოს დაფიქსირებული სტუდენტების რაოდენობა, რომლის მიღება შეუძლია ორგანიზაციას.
3. სასურველია, ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან უფრო მეტი კომუნიკაცია და პროგრამის შემუშავება-განხორციელება-განვითარებაში მათი ჩართულობის ზრდა
4. კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციის გაძლირება, მათი გამოკითხვებში აქტიურად ჩართვის მიზნით, რათა უსდ-მ მიიღოს მათგან პროგრამის განვითარებისთვის საჭირო უკუკავშირი.

მეექვსე საკითხი. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციას აგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სკოლამდელი განათლება Preschool Education
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
		-

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სკოლამდელი განათლების ბაკალავრი Bachelor of Preschool Education
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0112 - სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება Training for Preschool Teachers
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240

14	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, ბათუმი უნივერსიტეტის I კორპუსი, III სართული 6010, საქართველო
15	სჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ და თამარ სირაძემ.
საფუძველი- შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ქეთევან აფთარაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განმარტა, რომ სკოლამდელი განათლების პროგრამა შემუშავებულია საერთაშორისო პროგრამების ანალოგების მსგავსად. განსახილველმა პროგრამამ გაიარა რამდენიმე გარე შეფასება, საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობით. ექსპერტთა კორპუსმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, ძირითად შემთხვევაში, დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას. სკოლამდელი განათლების პროგრამა პირველ ორ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც მეტწილ შესაბამისობაში, ხოლო დანარჩენ სტანდარტებთან მიმართებით, როგორც სრულ შესაბამისობაში. პირველი სტანდარტის ძირითადი რეკომენდაციები შეეხება პროგრამის მიზნებსა და შედეგებს. პრაქტიკულად, ყველა შედეგი გადის პროგრამის 1-ელ და მე-2 მიზანზე, შესაბამისად ამ მიმართულებით გაიცა რეკომენდაცია. რეკომენდაციები ასევე შეეხება სწავლის შედეგების რუკის გადახედვის ნაწილს, სადაც ზოგიერთი კურსი არ გადის მითითებულ შედეგზე, რაც გაართულებს პროგრამის სწავლის პროცესს, აღნიშნულზე მსჯელობა დასკვნაში დეტალურად არის წარმოდგენილი და. რეკომენდაცია გაიცა შემდეგ პრაქტიკულ კურსებთან დაკავშირებითაც: პრაქტიკა 2, პრაქტიკა 3 და პრაქტიკა 4. ასევე, კურსებზე დაშვების წინაპირობის გადახედვასთან დაკავშირებით, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იყოს კურსებს შორის ლოგიკური კავშირები. ერთ-ერთი რეკომენდაციის თანახმად, მიზანშეწონილია, პროგრამა მოიცავდეს კურსებს მულტილინგვურ

სწავლებაზე, პრაქტიკის კვლევაზე. რეკომენდაცია გაცემულია სილაბუსებთან დაკავშირებითაც, კერძოდ, მიზანშეწონილია, გადაიხედოს სილაბუსების მიზნები და თემატიკა. ასევე, რიგი სილაბუსების შინაარსი არ შეესაბამება პროგრამის მიზანს და შედეგებს. სასწავლო რესურსები და ლიტერატურა, რომელიც არის წარმოდგენილი სილაბუსში საჭიროებს გადახედვას. რეკომენდაციები შეეხება, შეფასებისა და პრაქტიკის ნაწილსაც. მნიშვნელოვანია, პრაქტიკის სილაბუსებში უფრო მკაფიოდ და ნათლად განისაზღვროს პრაქტიკის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპები. რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომს, აღნიშნულთან დაკავშირებითაც ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია, კერძოდ, მიზანშეწონილია პროგრამით გათვალისწინებული იყოს ისეთი სავალდებულო კურსის სწავლება, რომელიც სტუდენტს გამოუმუშავებს პედაგოგიური კვლევის მეთოდებისა და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დაგეგმვა-განხორციელებისთვის შესაბამის ცოდნასა და უნარებს, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტის მიერ პროგრამით განსაზღვრული საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას. გარდა ამისა, რეკომენდაცია შეეხება სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, კურსების უმეტეს ნაწილთან მიმართებით შეფასების რუბრიკების და სქემების უფრო გამჭირვალე კრიტერიუმებით შემუშავებას. რაც შეეხება პერსონალის ნაწილს, ექსპერტის განმარტებით სკოლამდელი განათლების მიმართულებით აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობა პროგრამაში არ არის წარმოდგენილი, თუმცა, მიზეზი ცხადი და გასაგებია, საუნივერსიტეტო საფეხურზე აღნიშნული დარგის მიმართულების არარსებობიდან გამომდინარე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პერსონალის პროფესიული მომზადების და განვითარების მიმართულებით უნივერსიტეტის მიერ საკმაოდ ბევრი აქტივობა ჩატარდა. ათ შორის, სკოლამდელი განათლების თემატიკაზე კონფერენციების, ტრენინგების დაგეგმვა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ამ აქტივობაში ჩართვა. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია დაწესებულებამ ინტენსიურად იმუშაოს მოამზადოს გეგმა, რომელიც კიდევ უფრო გაამლიერებს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთა გუნდს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ვლადიმერ ღლონტი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნას ფაკულტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი დადებითად აფასებს. მით უფრო, რომ მათი არგუმენტირებული პოზიციის კონკრეტული ნაწილი იქნა გათვალისწინებული საბოლოო დასკვნის მომზადებისას. მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის. აქვე, დაამატა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი მნიშვნელოვანია, რაც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული ინსტიტუციის მხრიდან.

ნანი მამულაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მადლობა გადაუხადა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ასევე, ექსპერტთა ჯგუფს კოლეგიალური დამოკიდებულებისთვის, გაწეული შრომისა და შემუშავებული რეკომენდაციებისთვის. აღნიშნა, რომ დარგის ექსპერტთა გამოცდილება და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს პროგრამის შემდგომ განვითარებას. საქართველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს არ ჰქონდათ სკოლამდელი განათლების ბაკალავრის ხარისხის მქონე კადრების მომზადების გამოცდილება, შესაბამისად, აღნიშნა, რომ აფასებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერას. დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა რეკომენდაციებზე, რომლებიც ეხებოდა პრაქტიკას, კერძოდ პრაქტიკის კვლევის პროგრამაში ინტეგრირებას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობას. აღნიშნა, რომ პრაქტიკის გზამკვლევზე დაყრდნობით, პროგრამის ფარგლებში პროგრამის სამ ტიპს მოიაზრებენ დაკვირვებითს, მონაწილეობითს და აქტიურ პრაქტიკას. დაკვირვებითი პრაქტიკის შემთხვევაში სტუდენტი აკვირდება დაწესებულებაში ჯგუფში

მიმდინარე პროცესს აკეთებს ჩანაწერებს, ხოლო მონაწილეობითი პრაქტიკისა და აქტიური პრაქტიკის შემთხვევაში სტუდენტი მენტორთან ერთად ერთვება ინდივიდუალურ თუ მცირე ჯგუფებთან განხორციელებულ მარტივ აქტივობებში, მენტორის სუპერვიზიის ქვეშ თავად წარმართავს საგანმანათლებლო პროცესს, გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს, როგორც ინდივიდუალურ, ასევე მცირე და დიდ ჯგუფებში. აქტიური პრაქტიკის პროცესში იზრდება სტუდენტების როლი და ჩართულობა. საბაკალავრო კურსის ბოლოს სტუდენტს უკვე შეუძლია საგანმანათლებლო პროცესის სრულად დაგეგმვა და განხორციელება. მოკლე და გრძელვადიანი გეგმების შემუშავება და სხვადასხვა ტიპის აქტივობის განხორციელება. ასევე, ინტერვენციებზე მუშაობა. სწორედ ამ მიდგომით, პრაქტიკის კვლევა, როგორც სასწავლო კურსი პროგრამაში არ გამოუტანიათ. მეორე სტანდარტის 2.1, 2.2, 2.4 ქვესტანდარტებთან მიმართებით ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებს პრაქტიკის კომპონენტის ნაწილში ეთანხმებიან. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სამუშაო ჯგუფის მიერ გადაიხედება და დაზუსტდება სწავლის შედეგები პრაქტიკის სილაბუსებში, უფრო მკაფიოდ და ნათლად განისაზღვრება პრაქტიკის განხორციელების ყველა ეტაპი, პრაქტიკა დაიგეგმება და განხორციელდება სკოლამდელი განათლების ყველა შესაბამის ასაკობრივ ჯგუფთან. ასევე 2.5, 2.6, 2.7 რეკომენდაციების შესაბამისად ზოგიერთ სასწავლო კურსში შეფასების რუბრიკები და მონაცემები დეტალურად გაიწერება დანართების სახით. სწავლის შედეგების შეფასებაში პრაქტიკა 2, პრაქტიკა 3 და პრაქტიკა 4 სასწავლო კურსების როლთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შედგენისას პროგრამის სამუშაო ჯგუფი ხელმძღვანელობდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოთი“, რომლის მიხედვითაც, მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება. აღნიშნული სახელმძღვანელოს მიხედვით არ არის სავალდებულო სწავლის შედეგების შეფასებისას გამოყენებული იქნეს თითოეული სასწავლო კომპონენტი. ვინაიდან პრაქტიკა უწყვეტი და თანმიმდევრული პროცესია დაწესებულებამ სამიზნე ნიშნული განსაზღვრა პრაქტიკა 1 და პრაქტიკა 5-ისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზიარებენ სწავლის შედეგების დაზუსტების თაობაზე გაცემულ რეკომენდაციას. სამუშაო ჯგუფი სასწავლო კურსებს შორის ლოგიკური თანმიმდევრობის უზრუნველყოფის მიზნით, მოახდენს საგანმანათლებლო პროგრამის მოდერნიზაციას, გადაიხედება ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი, სასწავლო რესურსები და ლიტერატურა, პროგრამის სტრუქტურაში ძირითადი სასწავლო კურსის სახით დაემატება მულტილინგვური განათლება. 2.3 რეკომენდაციის მიხედვით პროგრამით გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი სავალდებულო სწავლება, რომელიც სტუდენტს გამოუმუშავებს პედაგოგიურ ცოდნასა და უნარებს , რაც ხელს შეუწყობს სტუდენტის მიერ პროგრამით განსაზღვრული საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას. ხსენებულ რეკომენდასციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის სამუშაო ჯგუფი აზრით, საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და პედაგოგიური პრაქტიკისთვის აუცილებელ კვლევით უნარებს სტუდენტი გამოიმუშავებს სასწავლო კურსების ,,წერითი და ზეპირი კომუნიკაცია“, ,,კომუნიკაცია, ენისა და მეტყველების განვითარება, ადრეული წიგნიერება“ და ,,დაკვირვება და შეფასება” ფარგლებში. კურსი ,,წერითი და ზეპირი კომუნიკაცია“ ფარგლებში. აღნიშნული კურსები ითვალისწინებს სამეცნიერო კვლევების ელემენტებს, პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის გზების ძიების, აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვის, სამეცნიერო ნაშრომის შექმნის და საზოგადოებისთვის წარდგენის კომპეტენციების გამომუშავებას. სასწავლო კურსი ,,კომუნიკაცია, ენისა და მეტყველების განვითარება, ადრეული წიგნიერება“ მიმართულია პრობლემის იდენტიფიცირების, გამოვლენილი პრობლემის ანალიზის, პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევის, რეკომენდაციების ჩამოყალიბებისა და არგუმენტირებული დასაბუთების უნარების განვითარებაზე. ხოლო კურსი ,,დაკვირვება და შეფასება” მიმართულია

დაკვირვების ფორმალური და არაფორმალური შეფასების მეთოდების, სიმულაციური სიტუაციების იმიტირების, დაკვირვების, გაანალიზების და შეფასების უნარების გამომუშავებაზე. ექსპერტთა დასკვნაში დადასტურებულია, რომ „სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებულია ისეთი მეთოდები, როგორიცაა პროექტი, სიტუაციური ამოცანა, ქეისი, შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაცია, დისკუსია, დებატები, რეფლექსია, პორტფოლიო და ა.შ., რაც ხელს უწყობს სტუდენტებისთვის სამეცნიერო-კვლევით და ტრანსფერული უნარების განვითარებას“. დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ღირებული რეკომენდაციისთვის. აღნიშნა, რომ დარგის ექსპერტები ნამდვილად დიდ დახმარებას გაუწევენ პროგრამის სრულყოფისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, მარინა ქავთარაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა, კერძოდ, პროგრამის კურიკულუმში არის თუ არა გათვალისწინებული მუსიკა და ესთეტიკური აღზრდა? მაშინ, როდესაც ხატვა სახვითი ხელოვნება და ა.შ წარმოდგენილია აღნიშნულ კურიკლუმში და დადასტურებულია სილაბუსითაც. კურიკულუმში არის ინგლისური ენა B2-ის დონეზე. მუსიკა, რომელიც უმნიშვნელოვანესია სკოლამდელი აღზრდის საქმეში საერთოდ არ ფიგურირებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამამ გაიარა გარე ექსპერტიზა და მის შემუშავებაში ჩართული ჰყავდათ ექსპერტები, გაითვალისწინეს ევროპული გამოცდილებაც, როდესაც ითარგმნა პროგრამის სტრუქტურა და გაეგზავნათ პროგრამა უცხოელ ექსპერტებს მათ ჰქონდათ რეკომენდაცია ცალკე მუსიკა, როგორც სასწავლო კურსი არ შეეთავაზებინათ, რადგან დაწესებულება მუსიკის მასწავლებლის მნიშვნელოვან კომპეტენციებს ვერ სთავაზობს კურსდამთავრებულს. შესაბამისად, აღნიშნული სასწავლო კურსი ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით ამოღებულ იქნა პროგრამიდან. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ, პროგრამა მთლიანად დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით არის აგებული. თქვა, რომ ესთეტიკური აღზრდის ელემენტები მასში გათვალისწინებულია უბრალოდ ეს ელემენტების სხვადასხვა სასწავლო კურსშია შერწყმული და ცალკე სასწავლო კურსის სახით არ აქვთ გამოტანილი.

საბჭოს წევრი, გურანდა ჭელიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა დამაზუსტებელი შეკითხვები. კერძოდ, დასკვნაში მოცემულია რჩევა, რომელიც ეხება უნივერსიტეტის მხრიდან ადგილობრივ და საერთაშორისო გაცვლით სასწავლო პროგრამებში სტუდენტების ჩართულობის ზრდას. პროგრამა ახალია და ბუნებრივია კონკრეტული მაჩვენებელი არ იქნება. აგრამ, თუ კი პროგრამა მიიღებს აკრედიტაციას დაწესებულებას დასჭირდებათ ამ მიმართულებით მუშაობა. თუ არის სავარაუდო ნუსხა იმ დაწესებულებებისა, რომლებთანაც უნდა ითანამშრომლონ სამომავლოდ სტუდენტების გაცვლითი პროგრამის ფარგლებში? მეორე კითხვა ეხება საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსს, რომელშიც მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: სტუდენტის ნაშრომი ფასდება 0-ით თუ კი პირველადი დატვირთვის ფონზე დატვირთვის მაჩვენებელი იქნება 80%, ხოლო მეორადი დატვირთვის 40%. ითხოვა ამ კოეფიციენტის განმარტება. რადგანაც 80%-ით მსგავსების კოეფიციენტით ნაშრომის ატვირთვა ნიშნავს, რომ ხელმძღვანელის მხრიდან თემაზე ნამუშევარი არ არის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით განმარტა, რომ მათ უნივერსიტეტს საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. მართალია ამ პროგრამას ჯერ სტუდენტები არ ჰყავს, მაგრამ ექსპერტები შეხვდნენ მონათესავე სპეციალობის, დაწყებითი განათლების სტუდენტებს. აღნიშნა, რომ საქართველოში მე-3 ადგილზე არიან გაცვლითი პროგრამების რაოდენობით. უშუალოდ ამ პროგრამის ფარგლებში შემუშავებული არ აქვთ, მაგრამ ბევრ უნივერსიტეტთან ხელშეკრულებები გაფორმებული აქვთ და ეს მიმართულებაც

იფარება. რაც შეეხება კითხვას საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით, განმარტა, რომ ხელმძღვანელი მუშაობს მაგრამ თავის დაზღვევაა, თუ ძალიან დიდი მსგავსებით იქნება ატვირთული ნულდება ნაშრომი. ეს არის ჩამკეტი მექანიზმი, რომ სტუდენტმა დიდი მსგავსებით არ ატვირთოს ნაშრომი.

საბჭოს წევრი, ერმილე მესხია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დასვა კითხვა რეკომენდაცია 1.1-თან დაკავშირებით, რომელიც შეეხება სწავლის შედეგებს. კერძოდ, რეკომენდაციის დასაწყისში მოცემულია, რომ ,,რეკომენდებულია გადაიხედოს'' ბოლოს კი წერია ,,ყველა მიზანი არ გადიოდეს შედეგზე''. ა მოიაზრება ფრაზაში ,,მიზანი გადის შედეგზე'' თუ აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკურ უზუსტობას?

ექსპერტის განმარტებით, ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ყველა შედეგი, რომელიც პროგრამაში არის წარმოდგენილი ძირითადად 1-ლი და მე-2 მიზანზე გადის, აქედან გამომდინარე არის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული რეკომენდაცია ამ ნაწილთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ასევე განმარტა, რომ უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს მიზნების და სწავლის შედეგების რუკა, სადაც თითქმის ყველა მიზანი შეესაბამება პროგრამის ყველა შედეგს. რუკა უფრო იმისთვის არის, რომ აჩვენოს ზუსტი მიმართებები, რომელ მიზანს რომელი სწავლის შედეგი შეესაბამება, რაც შემდეგომ პროგრამის შეფასების დროსაც უნდ გამოიყენოს უნივერსიტეტმა, რამდენად მოხდა მსგავსი შესაბამისობების დადასტურება ამიტომაც თავიდან იფიქრეს, რომ ყველა მიზანი მიემართებოდეს ყველა შედეგს. კარგი იქნებოდა უნივერსიტეტს გადაეხედა ხსენებული დოკუმენტისთვის. ეს იყო დარგობრივი ექსპერტების მიერ შემოთვაზებული რეკომენდაცია, რადგან მათი დარგობრივი ექსპერტიზით კონკრეტული შედეგები პირდაპირ არ მიემართება მიზნებს და სჯობდა რომ რუკა გასწორებულიყო.

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ შემუშავებულ დასკვნაში, სადაც პროგრამის მიზნებზეა საუბარი, მოცემულია შეფასება, რომ პროგრამის მიზნები მიღწევადი და რეალისტურია. შემდეგ წერია გადაიხედოს პროგრამის მიზნები, რათა გახდეს უფრო კონკრეტული და ა.შ. ხომ არ ფიქრობენ ექსპერტები, რომ დასაწყისი წინადადებიდან გამომდინარე აღნიშნული რეკომენდაცია უნდა იყოს რჩევა?

ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული რეკომენდაცია შესაძლებელია, რჩევაში გადავიდეს.

აბჭოს წევრი, ნინო ღაღანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, კითხვა დასვა 1.9 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შემდეგნაირადაა ფორმულირებული: რეკომენდებულია სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინოს პროგრამის მიზანი და პრაქტიკა სტუდენტისთვის გახადოს თეორიულად დასწავლილი ცალკეული თემატიკის გამთლიანების შესაძლებლობად. დასვა კითხვა, ამ რეკომენდაციის გათვალისწინება გამოიწვევეს თუ არა არსებული 5 ტიპის პრაქტიკის თემატიკის ცვლას?

ექსპერტის განმარტებით, ძირითად პრაქტიკად რაც არის გათვალისწინებული იწყება ბავშვზე დაკვირვებით, შემდეგ გრძელდება პრაქტიკებით, გემის შესწავლით. შემდეგ ისევ შემოდის ბავშვზე დაკვირვების პროცესი, ამას მოსდევს აღმზრდელზე დაკვირვება, ბოლოს უკვე სტუდენტი თავად ატარებს აქტივობას საბოლო პრაქტიკის ნაწილში. თუმცა, დაყოფა ჯერ დაკვირვება ბავშვზე და ა.შ. არ იძლევა მთლიანობაში ცოდნის გამთლიანების საშუალებას. ამ

მსჯელობიდან გამომდინარე იქნა შემუშავებული რეკომენდაცია, ხოლო უშუალოდ ის ნაწილი რაც კითხვას მიემართება გამოიწვევს თუ არა არსებით ცვლილებებს, ცხადია, მცირედი გადამუშავება დასჭირდება შინაარსს პრაქტიკის ნაწილში.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა, კერძოდ, ამ პროგრამის კურსდამთავრებულმა უნდა იმუშაოს სკოლამდელ აღმზრდელობით დაწესებულებაში, რამდენად აქვს ამის მზაობა ბაზარს? ასვე, სტუდენტების ამ პროგრამაზე მიღების მოლოდინი რამდენად არის?

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2016 წლის სკოლამდელი განათლების საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, უკვე მოითხოვება პედაგოგ-აღმზრდელი იყოს ბაკალავრის ხარისხის მქონე, ამ მიმართულებით არის სამინიტროს მხარდაჭერით განხორცილებული პროექტები. მჭიდრო კავშირი აქვთ რეგიონში არსებულ სკოლამდელ დაწესებულებთან და უკვე აქ დასაქმებული პერსონალიც ელოდება პროგრამას, რომ ჩაირიცხოს. გარდა ამისა, საჭირო ნამდვილად არის, წარმოდგენილია ბაზრის კვლევა და ფიქრობს, რომ დროულია ამუშავდეს ეს პროგრამა. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევ დაამატა, რომ ამ პროგრამასთან მიმართებით ნამდვილად დიდი მოლოდინია. ბაზრის კვლევებშიც დეტალურად აქვთ გაანალიზებული აღნიშნული.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად 2023 წლის 23 ივნისის განსაზღვრის თაობაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო:16:11 სთ
დასრულების დრო: 16:35 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით (01/07/2025), 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

დაკმაყოფილდეს დაწესებულების შუამდგომლობა და გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 23 ივნისი.

რეკომენდაციები:

1.1 რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის მიზნებისა და შედეგების კავშირი, რათა ლოგიკურად იყოს დაკავშირებული შედეგები მიზნებთან;

1.3 რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, რადგან წარმოდგენილი რუკის მიხედვით იდენტიფიცირებული ძირითადი სასწავლო კურსები შესაბამისი დონეების მითითებით მეტწილად არ ფარავს სწავლის შედეგებს;

1.3 რეკომენდებულია პრაქტიკული კურსები: პრაქტიკა 2, პრაქტიკა 3 და პრაქტიკა 4 მონაწილეობდეს სწავლის შედეგების შეფასებაში;

1.4 რეკომენდებულია გასწორდეს კურსების თანმიმდევრობა, კურსებზე დაშვების წინაპირობა, რათა მაქსიმალური იყოს კურსებს შორის ლოგიკური კავშირები.

1.4 რეკომენდებულია, პროგრამაში მოიცავდეს კურსებს მულტილინგვურ სწავლებაზე, პრაქტიკის კვლევაზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას (სწავლის შედეგების თანახმად, პროგრამა ხელს უწყობს ენის ათვისებას მულტილუნგვური პერსპექტივით; გეგმავს და ატარებს პრაქტიკის კვლევას) და დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობას.

1.5 გადაიხედოს სილაბუსების მიზნები და თემატიკა, ზოგიერთ სილაბუსში არ მოდის თანხვედრაში მიზნები თემატიკასთან; ასევე არის რიგი სილაბუსები, რომლის შინაარსიც არ შეესაბამება პროგრამის მიზანს და შედეგებს.

1.5 გადაიხედოს სასწავლო რესურსები და ლიტერატურა, განახლდეს, მოვიდეს შესაბამისობაში კურსის თემებთან.

1.5 რეკომენდებულია ისე იყოს სილაბუსები შედგენილი, რომ არ ხდებოდეს თემატიკის გადაფარვა.

1.5 რეკომენდებულია სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინოს პროგრამის მიზანი და პრაქტიკა სტუდენტისთვის გახადოს თეორიულად დასწავლილი ცალკეული თემატიკის გამთლიანების შესაძლებლობად.

2.2 რეკომენდებულია, პრაქტიკის კომპონენტი მოიცავდეს ადრეული ასაკის ყველა შესაბამის ასაკობრივ ჯგუფთან პროფესიული პრაქტიკის გავლას, კერძოდ სკოლამდელი განათლების მე-4 წელს სრულად - 5 წლიდან სკოლის დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე; ამასთანავე, პრაქტიკა 3, 4 და 5-ის სწავლის შედეგების იდენტურობიდან გამომდინარე, გადაიხედოს აღნიშნული პრაქტიკის სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგები;

2.2 რეკომენდებულია, პრაქტიკის (1,2,3,4,5) სილაბუსებში მკაფიოდ და ნათლად გაიწეროს პრაქტიკი დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპები;

2.2 რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებულ იქნას ისეთი სავალდებულო კურსის სწავლება, რომელიც სტუდენტს გამოუმუშავებს პედაგოგიური კვლევის მეთოდებისა და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დაგეგმვა-განხორციელებისთვის შესაბამის ცოდნასა და უნარებს, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტის მიერ პროგრამით განსაზღვრული საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას;

2.3 რეკომენდებულია, სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად, სწავლება-სწავლის მეთოდებიდან გამოყენებულ იქნას პრაქტიკის კვლევა;

2.3 რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კურსის/საგნის სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს კურსის/საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან, განსაკუთრებით იმ სასწავლო კურსებში, სადაც სწავლება-სწავლის მეთოდად გამოყენებულია როლური თამაში;

2.4 რეკომენდებულია, ჩამოყალიბებულ იქნას სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებული მკაფიო კრიტერიუმები და მასზე დაყრდნობით ყველა სასწავლო ურსისთვის შემუშავებულ იქნას შეფასების რუბრიკები/სქემები, რათა მიღწეულ იქნას შეფასების ობიექტურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა და სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვადობა;

2.4 რეკომენდებულია, გადაიხედოს ზოგიერთ კურსებში შეფასების მეთოდები, კერძოდ, რიგ სილაბუსში მოცემული შეფასების მეთოდი - როლური თამაში, სიტუაციური ამოცანა - არ არის შესაბამისობაში კურსის შინაარსთან და ბუნდოვანს ხდის შეფასების პროცესს.
4.1 მომზადდეს გეგმა, რომელიც ასახავს პროგრამის განმახორციელებელი გუნდის ადრეული განათლების მიმართულებით გაძლიერებას;
5.1 რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაგეგმოს და ჩაატაროს სამუშაო შეხვედრები პროგრამის სამუშაო ჯგუფის წევრებთან, რათა მოხდეს მათთვის დადგენილი ვალდებულებების სრულყოფილი იმპლემენტაცია როგორც პროგრამის შემუშავების პროცესში, ისე შეფასების მიმართულებით.

რჩევები:
1.2 სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობის გაზრდა;
1.5 სასურველია კურიკულუმში არჩევითი საგნის სახით იყოს წარმოდგენილი მუსიკის საგანი.
2.1 სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში - პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ველში მეტი გამჭვირვალობისთვის დაემატოს საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველი - სრული ზოგადი განათლების ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ქონა;
2.2 სასურველია, პრაქტიკის მენტორთა შერჩევა მოხდეს ბსუ-ს მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე და გარდა პრაქტიკის ობიექტებისა, ასევე უნივერსიტეტის მხრიდან პრაქტიკის ეფექტიანად განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების თანამონაწილეობით;
3.1 სასურველია, უსდ-მ მეტი აქტივობა განახორციელოს სტუდენტთა ინფორმირების მიზნით საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზებით სარგებლობის შესაძლებლობების შესახებ;
3.1 სასურველია, მეტი ძალისხმევა იქნეს გაღებული ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით სასწავლო პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის მიზნით;
4.5 ბიუჯეტში გაჩნდეს პუნქტი, რომელიც გულისხმობს ადრეული განათლების მიმართულებით პერსონალის მხარდაჭერისთვის საჭირო ხარჯებს
3.1 სასურველია, სასწავლო პროგრამების თვითშეფასების ჯგუფის წევრებად სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მოაზრება, მათი პროცესში აქტიურად ჩართვა.
5.2 სასურველია, გარე შემფასებლებს სიღრმისეული ექსპერტული დასკვნების შესამუშავებლად გაეგზავნოთ არა მარტო პროგრამის აღწერილობა, არამედ სასწავლო კურსების მოკლე ანოტაციები მიზნებით, სწავლის შედეგებით, სასწავლო ლიტერატურით, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებით.
5.3 სასურველია, დაწესებულებამ ინსტიტუციურ დონეზე დაიწყოს საუნივერსიტეტო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების მონიტორინგი, რათა გამოავლინოს და შეისწავლოს ძირითადი პრობლემები, რაც მექანიზმის გაუმართავობას და არაეფექტიანობას იწვევს. ამ მიზნით, შესაძლებელია შესწავლილ იქნას როგორც ცალკეული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, ისე აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნები.
5.3 სასურველია, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და პროგრამის მიზნების, სწავლის შეგდების, შინაარსისა და სტრუქტურის დახვეწის მიზნით სიღრმისეულად იქნას შესწავლილი ანალოგი პროგრამები.

მეშვიდე საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციას აგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სკოლამდელი განათლება Preschool Education
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VI

9	კვალიფიკაციის დასახელება	სკოლამდელი განათლების ბაკალავრი Bachelor of Preschool Education
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0112 - სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	სამეგრელო-ზემო სვანეთი, ზუგდიდი, 2100 ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14, საქართველო
15	სჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტმა წარმატებით ჩაიარა, დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციაშიც ჩანს, რომ რიგ საკითხებს იზიარებენ. კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით არის დაწესებულების მზაობა, რომ განაგრძობენ მუშაობას. განსახილველ შემთხვევაში, პროგრამა ყველა სტანდარტთან მიმართებით ,,მეტწილ შესაბამისად'' შეფასდა. პირველ სტანდარტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია შეეხება მიზნების ფორმულირებას. ასევე, დარგობრივ სტანდარტთან მეტ შესაბამისობას, ამ შემთხვევაში გამოწვევა იყო მულტილინგვურ სწავლებასთან დაკავშირებით, რადგან არ იყო შესაბამისი კურსი წარმოდგენილი, რომელიც ამ თემატიკას დაფარავდა. ასევე, პრაქტიკის კვლევის კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაციის საფუძველზე დაწესებულებამ პროგრამაში გარკვეული ცვლილებები განახორციელა. ერთ-ეთი რეკომენდაცია ეხებოდა კურსების თანმიმდევრობას, კურსებზე დაშვების წინაპირობას და ამავდროულად კურსებში თემატიკის გადახედვის ნაწილს. ასევე, რეკომენდაცია შეეხებოდა სილაბუსში მითითებული ლიტერატურის შესაბამისობას თემატიკასთან, რიგ შემთხვევაში თემატიკა არ იყო მოცემული ან არ შეესაბამებოდა ადრეული განათლების საფეხურს. საუბარია ისეთ კურსებზე, როგორიცაა მათემატიკური ცნებები, ადრეული განათლების მართვა, წიგნიერების განვითარება, აღნიშნულან დაკავშირებით დასკვნაში დეტალური მსჯელობაა წარმოდგენილი. რაც შეეხება მეორე სტანდარტთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციებს, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რიგი გამოწვევები ამ სტანდარტთან დაკავშირებული. რეკომენდაცია იყო, რომ პრაქტიკული სწავლების მეთოდები, რომლებიც ავითარებს პრაქტიკულ და სამეცნიერო კვლევით და საშემსრულებლო უნარებს, რაც მითითებულია პროგრამაში რეალურად იყოს დანერგილი და გამოყენებული პროცესში. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას ჰქონდა წარმოდგენილი პოზიცია , რომ ეს რეკომენდაცია შეეხებოდა მომიჯნავე დარგს, ასევე პროგრამის განხორცილების ნაწილში ის რაც მითითებული იყო განხორციელდებოდა სწავლების პროცესში და თავისი არსით შესაძლებელია მიჩნეულ იყოს რჩევად. თუმცა, აქ აქცენტს აკეთებენ ისეთი კურსის ჩასმაზე, რომელიც სტუდენტს გამოუმუშავებს პედაგოგიური კვლევის მეთოდებსა და პრაქტიკის კვლევის დაგეგმვა-განხორცილების შესაბამის ცოდნას. გარდა ამისა, სწავლა-სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით რაც დარგობრივ სტანდარტშიც არის მოცემული მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში და სასწავლო კურსებში გამოყენებულ იქნეს, ისეთი მეთოდები როგორიც არის პრაქტიკის კვლევა ქოუჩინგი. ასევე, რეკომენდაცია გაცემული იყო შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნა, რომ ეს წარმოადგენდა ტექნიკურ უზუსტობას რაც უკვე გასწორდა. ვინაიდან ექსპერტებს მტკიცებულების სახით არ ჰქონდათ წარმოდგენილი გასწორებული სილაბუსები, რითაც შეამოწმებდნენ ამ ცვილების რელევანტურობას აღნიშნული და რეკომენდაცია დარჩა ძალაში. ასევე, საკითხი შეეხებოდა, შეფასების მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის

ზღვარის არსებობას, ეს საკითხიც გამოიკვეთა ძირითადად ინტერვიურების შედეგად, როგორც სტუდენტებთან ასევე პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. მათთვის მნიშნელოვანია გაიზარდოს ინფორმირებულობა. თუ შეფასების მეთოდებში დაწესებულებას სილაბუსში მითითებული აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მნიშვნელოვანია რეალურად ის სრულდებოდეს და კონტროლდებოდეს. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტმა ვერ გადალახა ეს ზღვარი შესაბამისი რეაგირება ხდებოდეს ამასთან დაკავშირებით. კურსის ჩაბარება ვერ ჩაბარების ნაწილში. გარდა ამისა რეკომენდაცია აქვთ შემუშავებული მკაფიო კრიტერიუმების, გაწერასთან დაკავშრებით.
შეფასების სქემებში და ასევე აპელაციის პროცედურებთან დაკავშირებით მართალია დაწესებულებას აქვს ინფორმცია, რაც განთავსებულია საჯაროდ ვებ გვერდზე საჯარო მართვის ელექტრონულ სისტემაში. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მნიშვნელოვანია გაიზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობა აპელაციის წესების ნაწილთან მიმართებით. რაც შეეხება მესამე სტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებს, ექსპერტის განმარტებით რეკომენდაცია შეეხება საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების მაჩვენებლების გაზრდას, ასევე, ბიბლიოთეკის თანამშრომლთა პრაქტიკულ გადამზადებას და ინფორმირებას საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება მე-4 სტანდარტის ნაწილს აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია გაძლიერდეს პროგრამის შემუშავება განხორციელებისა და მონიტორინგის ნაწილში თავად პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობა. ასევე, რეკომენდაცია შეეხებოდა დატვირთვების, კერძოდ, ფუნქცია-მოვალეობების ეფექტურად შესრულებას რეკომენდირებულია შემუშავდეს მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა. გარდა ამისა, რეკომენდაცია შეეხება ადრეული განათლების მიმართულებით კვალიფიციური პერსონალის გაძლიერებას. პერსონალი მართალია პროგრამაში არ არის ჩართული, მაგრამ მნიშვნელოვანია დაწესებულებამ კიდევ უფრო მეტი იმუშაოს ადრეული განათლების სამეცნიერო თუ პროფესიული გადამზადების კურსებში ჩართულობაზე გამოქვეყნებებზე რეფერირებად ჟურნალებში დაბეჭვდის მიზნით. ამის ხელშეწყობის მექანიზმი უნივერსიტეტს გააჩნია, ამ შემთხვევაში კი საუბარია კონკრეტულ სქემაზე. რეკომენდაცია აქვთ ასევე ხარისხის ნაწილთან დაკავშირებით, რაც ისევ გამოხატულებაა იმისა რომ პირდაპირ კავშირშია დანარჩენ გაცემული რეკომენდაციების სტანდარტებთან, რომელიც შეეხება აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობას პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების პროცესის დაგეგმვის და შეფასების ნაწილში, ასევე თვითშეფასების ჯგუფში აქტიურ ჩართულობას უცხოელი ექსპერტის, დარგის ექსპერტის შეფასებებს და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის.

ნინო ლაბარტყავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, რომელიც არის აღნიშნული პროგრამის მოწვეული ექსპერტ კონსულტანტი. პროგრამას ჰყავს ასვე ექსპერტ კონსულტანტთან ერთად ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, რაც გამოწვეულია იმით, რომ დარგი არის ახალი. დაწესებულების სურვილი იყო ამ პროგრამაში ჩართულიყო, რაც შეიძლება მეტი პირი სკოლამდელი განათლების მიმართულებით. ისაუბრა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც მიზნის ფორმულირება იყო ვიწრო, ამ რეკომენდაციას დაეთანხმნენ და პირველი ორი მიზანი არის გაერთიანებული. რეკომენდაცის შემდეგი ფორმულირება აქვს მისცეს სტუდენტს ფართო ცოდნა ადრეული ასაკის ბავშვის განვითარების კანონზომიერებების, ბავშვის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების, ხარისხიანი ადრეული განათლების პრინციპების, ასაკისა და განვითარების შესაბამისი კურიკულუმის შემუშავების შესახებ და განუვითაროს ეფექტური საგანმანთლებლო სტრატეგიების განხორციელების უნარ-ჩვევები. დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას დაეთანხმა. ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდებულად

მიიჩნია, რომ შედეგებში ყოფილიყო გამოტანილი და შემდეგ საგანშიც გათვალისწინებული პრაქტიკის კვლევის კომპონენტი. პროგრამში გათვალისწნებულია, დაკვირვება და შეფასება როგორც, საგანი სადაც საკმაოდ დეტალუად არის წარმოდგენილი ის კვლევის მეთოდები, რომლებიც მნიშვნელოვანია ადრეული განათლებისთვის. მავდროულად, პრაქტიკა თვითონ წარმოდგენილია 5 ძირითადი სილაბუსით და 40 კრედიტით. ასევე საუბარი იყო, რომ ზოგიერთი საგანი კერძოდ ეს ეხებოდა მუსიკა ვიზულაური ხელვნება, წიგნიერება და ა.შ. არ გადიოდა შედეგზე. საგნებში , როგორიცაა მაგალითად წიგნიერება პირველ საკითხად არის განხილული მეტყველების, კომუნიკაციის და წიგნიერების განვითარება როგორ მიმდინარობს დინამიკაში, სადაც სტანდარტიც განიხილება შესაბამისად. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სტანდარტი რომლითაც ბავშვის განვითარების კანონზომიერება და დინამიკაა წარმოდგენილი არის მოქცეული საგანში მუსიკა და ვიზუალური ხელოვნება. კურსის სახელწოდება ტექნიკური შეცდომის გამო იყო ვიზულაური და გამოყენენბითი ხელოვნება რეალურად კი არის მუსიკა და ვიზუალური ხელოვნება. რაც შეეხება საგანს ,,მათემატიკური ცნებები და წარმოდგენები'' აქ საუბარი იყო, რომ არ ჩანს მიდგომები რომლითაც სწავლება მიმდინარეობს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სილაბუსში მოცემულია თემატიკა, სადაც არის ცნებების დაჯგუფება კალასიფიკაცია და ა.შ. ამ ცნებების დაუფლება მიმდინარეობს მოდელირების გზით. ასევე, ყურადღება გამახვილდა სწავლა-სწავლების მეთოდებად პრაქტიკის კვლევისა და ქოუჩინგის გამოყენებაზე. ქოუჩინგი, როგორც საგანი ცალკე არის წარმოდგენილი რომელიც ასევე პრაქტიკულია და ამ გზით მიმდინარეობს. რაც შეეხება პრაქტიკის კვლევას, დაწესებულება დათანხმდა, რომ ეს კომპონენტი იქნება პროფესიულ პრაქტიკაში ჩაშენებული, ვინაიდან როდესაც უცხოელი ექსპერტის მიერ ხდებოდა პროგრამის შემუშავება, იყო რეკომენდაცია რომ ცალკე არ ყოფილიყო წარმოდგენილი აღნიშნული საგანი. პროფესიულ პრაქტიკაში არის წარმოდგენილი ბავშვზე დაკვირვება, ინტერვიუები პერსონალთან და ა.შ. შეფასების კომპონენტად კი ეს პრაქტიკის კვლევა. იმ უნარების განვითარებას, რომლებიც აუცილებელია პრაქტიკის კვლევისთვის ფიქრობენ, რომ განსახილველი პროგრამა ფარავს. რეფერატის კრიტერიუმებთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას დაწესებულება იზიარებს.

პროგრამის თანახელმძღვანელი მიესალმა დამსწრე საზოგადებას, ისაუბრა რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემას, სადაც ტექნიკური უზუსტობა იყო გაპარული ერთ-ერთ სილაბუსში. ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენოს LMS პროგრამა. ეს პროგრამა ახალია და ჯერ არ განხორცილებულა, სამომავლოდ უფრო კონკრეტულად იქნება მიწოდებული სტუდენტებისთვის.

რაც შეეხება მე-3 სტანდარტს რეკომენდაცია იყო, რომ მიზანშეწონილი იქნება თანამშრომელთა პრაქტიკული გადამზადება, საინფორმაციო შეხვედრების დაგეგმვა სტუდენტებთან. უნივერსიტეის ფარგლებში ესეც მიღწევადია, რადგანაც ფიქრობენ და ცდილობენ სამომავლოდ დაიგეგმონ ვორქშოფები და ასევე გაიზიარონ პარტნიორი უნივერსიტეტების გამოცდილებაც. მეოთხე სტანდარტში საუბარი იყო ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის ჩართულობასა და გამიჯვნაზე. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს წესი ამ საკითხის დასარეგულირებლად. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათთვის ყველა რეკომენდაცია მნიშვნელოვანი იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ განსახილველი პროგრამა არის ძალიან აქტუალური და ახალი საგანმანათლებლო სივრცეში. ეს დაწესებულებისთვისაც დიდი გამოწვევაა. პროგრამის ძლიერი მხარეა დაკვეთა ბაზარზე, ამ კონკრეტულ პროგრამაზე მოთხოვნა ძალიან დიდია და მნიშვნელოვანია ეს პროგრამა ჩაეშვას საგანმანათლებლო სივრცეში. საბჭოს ექსპერტებს ასევე ჰქონდათ რეკომენდაცია, რომ გარე შემფასებლების დასკვნა ყოფილიყო, რასაც ეთანხმება, რომ უნდა ყოფილიყო როგორც მტკიცებულება. თუმცა, არ იყო წარმოდგენილი რადგან პროგრამა შემუშავებული იყო გარე შემფასებლების მიერ. მთელი სამი წლის განმავლობაში ამ პროგრამის შემუშავება მათი მონაწილეობით ხდებოდა. ამიტომ,

როგორც მტკიცებულება ჩადებული არ იყო, მაგრამ როგორც რეკომენდაცია მისაღებია. მიაჩნია, რომ პროგრამის ძლიერი მხარე სწორედ რომ უცხოური გამოცდილების გაზიარების პროცესია. მესამე, რაც პროგრამას ძლიერ მხარედ წარადგენს ეს არის ჩართული ადამიანების რესურსი, შექმნის პროცესში ვინც უხელმძღვანელა პროგრამას ეს იყო დარგის სპეციალისტი და მოწვეული ექსპერტი კონსულტანტი. მაშინ როდესაც განათლების ხარისხის ცენტრმა დაიწყო დარგზე მუშაობა, იმთავითვე უნივერსიტეტმა ჩათვლა გამოწვევად, რომ ამ დარგისთვის ეპასუხა რეგიონში, შესაბამისად მან აიყვანა დარგის სპეციალისტი და აქედანვე დაიწყო ამ მიმართულებით მუშობა. ეს თანამშრომლობა იყო ამ პროგრამის ძლიერი მხარე. ასევე დაამატა, რომ უნივერსიტეტს აქვს დიდი გამოცდილება პროფესიულ განათლებაში, ჯერ ჰქონდა საგნობრივი პროფესიული განათლება, რომელიც მასწავლებლის აღმზრდელის კვალიფიკაციას იძლეოდა. ეს ძლიერი მხარე იმიტომაა რომ გარკვეულწილად შედეგებში ჩართული პრაქტიკული გამოცდილების ადამიანებთან თანამშრომლობის კარგი გამოცდილება აქვთ. მნიშვნელოვანია ის რომ ამ პროგრამას მომხმარებელი ეყოლება აფხაზეთიდან. ასევე, ძლიერი მხარეა, რომ იუნისეფის პროგრამის ფარგლებში არსებობს ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი, სადაც უკვე არაერთი აქტივობა განხორციელდა და ამ ცენტრის ფარგლებში აქვთ მემორანდუმი 45 საბავშვო ბაღთან. უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის ქუდქვეშ ტრენინგ - კურსები არის ამ ცენტრის უფასო და არჩევითი კურსი რაც უკვე ჩაშენებულია ამ პროგრამაში. აქვე დაამატა, რომ უკვე ორი პერსონალი გადამზადებულია იუნისეფის მიერ, როგორც ტრენერი მათი უნივერსიტეტისთვის. რეგიონში უნივერსიტეტი ერთადერთია და ამ გამოწვევებს იღებს თავის თავზე. აქვე დაამატა, საუკეთესო პრაქტიკა ბავშვთა ოთახი, სტუდენტების ბავშვთა მხარდაჭერისთვის. რომელიც უნივერისტეტის სივრცეში არსებობს, რომლითაც აფხაზეთიდან გადმოსული ბავშვებიანი სტუდენტები სარგებლობენ. ბავშვებს უვლის სპეციალისტი რომელიც ამავე პროფესიული პროგრამის ფარგლებში გადამზადებული სპეციალისტია. რაც შეეხება სტუდენტების მხრიდან სააპელაციო დებულების ცოდნის საკითხს, თქვა, რომ თუ სტუდენტმა ინტერვიუების დროს ვერ უპასუხა თემას ეს არ ნიშნავს, რომ მან არ იცის თავისი უფლებები უნივერსიტეტის სივრცეში. ამას ძლიერ მხარედ ჩათვლის რადგან სტუდენტს ეს არც დასჭირვებია, იმდენად ძლიერია ინდივიდუალურად მათთან მუშაობა და იმდენად ბევრია სტუდენტური სერვისი, რომ აპელაციამდე არც მისულა მათი საქმე. 50%-ზე მეტი აფხაზეთიდან დევნილია, ასევე , არიან მობილობით გადმოსული სტუდენტები, რომელთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები გულისხმობს მათთან ცალკე კონსულტაციებს და შეხვედრებს. სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა არ უშვებს სტუდენტს სანამ ის არ გაეცნობა ყველა რეგულაციას მის სასიკეთოდ. სვე, როდესაც სტუდენტი ხელშეკრულებას აწერს ხელ მას თან ერთვის ყველა დოკუმენტი რომელსაც უნდა გაეცნოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

აბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა, კერძოდ, საუკეთესო პრაქტიკაში ნახსენებია, რომ მათ გამოყოფილი აქვთ სივრცე თანამშრომლის ან სტუდენტების ბავშვებისთვის ვინ ზრუნავს მათზე ამ დროის განმავლობაში?

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გამოყოფილია სპეციალისტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დაწესებულებას სთხოვა დაეზუსტებინათ, რა კვალიფიკაცია აქვთ ზემოხსენებულ სპეციალისტებს?

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სპეციალისტის კვალიფიკაცია არის მასწავებლი.

საბჭოს წევრმა ითხოვა დაზუსტება როგორ იყო დარეგულირებული პროგრამაში ხელოვნების და მუსიკის საკითხი?

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ წარმოდგენილია საგანი მუსიკა და ვიზუალური ხელოვნება, რომელიც მოიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ საგნებს მის სწავლების მიდგომებს და მუსიკისა და ვიზუალური ხელოვნების ინტეგრირებული დანახვის შესაძლებლობას.

სევე, დაისვა კითხვა პროგრამაზე რამდენი სტუდენტის მიღებას ვარაუდობენ. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დღეისათვის განაცხადში 20 სტუდენტია გათვალისწინებული.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ განიხილეს სასწავლო კურსი ვიზუალური და გამოყენებითი ხელოვნება. ძირითადად ადრეული განათლების პრინციპების და ღირებულებების შესაბამისი არ იყო აქვე დაამატა, რომ თემებიც ლოგიკურად არ იყო დალაგებული. ძირითადად ასახავდა სახვით და საშემსრულებლო თემებს და საუბარი იყო მოტორიკის განვითარებაზე.

აბჭოს წევრი, მამუკა ხუსკივაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, დასვა კითხვა შრომის ბაზრის ამსახველ დოკუმენტთან დაკავშირებით, კერძოდ აღნიშნულ დოკუმენტში შემოთავაზებულია ემპირიული ანალიზი. ერთ-ერთი ორგანიზაცია არის სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრი. შემდეგ 100% არეალი. არ არის სეგმენტებად დაყოფილი. ყველგან 100% პასუხებია მონიშნული თუ ტექნიკური ხარვეზია დოკუმენტში?

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რესურსცენტრი მართავს ყველა ბაღს და ის იძლევა პასუხს სრულ ჩართულობაზე.

აბჭოს წევრმა, მამუკა ხუსკივაძემ დააზუსტა კითხვა, როდესაც დაწესებულებამ გამოკითხვა ჩაატარა, მაგალითად ერთ-ერთი კითხვაა ახალგაზრდა კადრების დეფიციტთან დაკავშირებით, სადაც 100%-ით არის დაფარული და ანალოგიურად არის ყველაფერზე 100% სეგმენტირება კი არცერთ პასუხზე არ არის. დაწესებულებას თხოვა აღნიშნული საკითხის განმარტება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ ინფორმაციას დააზუსტებენ.

აბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ სთხოვა ექსპერტებს დაეზუსტებინათ პასუხი 4.1 რეკომენდაციასთან დაკავშირებით. რეკომენდაციის ასეთი სახით ფორმულირება ,,გაძლიერდეს პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში'' ხომ არ ჯობს აქ წერტილი დასვან და შემდეგ განაგრძონ ,,განხორცილება და მონიტორინგი''? რაც შეეხება რეკომენდაცია 5.6, სადაც კურსდამთავრებულები წერია, უკეთესი ხომ არ იქნებოდა შემდეგი სიტყვების ,,ჩართულბა პროგრამის შემუშავების პროცესში'' შემდეგ დაესვათ წერტილი?

ექსპერტმა ისაუბრა 4.1 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მათ არ ჰქონდათ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შესაძლებლობა ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე და შეხვდნენ თანახელმძღვანელს და კონსულტანტს. აქვე დაამატა, რომ ხელმძღვანელი დანიშნულია ამ პროგრამის ხელმძღვანელ პოზიციაზე გაცილებით გვიან ვიდრე ამ პროგრამის შემუშავების პროცესი დაიწყო და ზოგადად მათ ჩართულობასთან დაკავშირებით ამ პროგრამაზე პრობლემები იკვეთებოდა. შემუშავებაში ჩართულობა უნდა გაიზარდოს, უნდა გაიზარდოს შემდგომ ასევე მათი აქტიურობა უშუალოდ პროგრამის განხორცილებისა და მონიტორინგის ნაწილში, რადგანაც იყო გარკვეული საკითხები რაც

ექსპერტთა ჯგუფისთვის ბუნდოვანი დარჩა პროგრამის თანახელმძღვანელთან და კონსულტანტთა პანელზე შეხვედრის ნაწილში. ამიტომ მიიღო რეკომენდაციამ ის სახე რომელიც წარმოდგენილია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ქრისტინე ჩიხლაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, აღნიშნა რომ მე-5 სტანდარტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით იმავე ლოგიკით იმსჯელეს როგორც მე-4 სტანდარტთან პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულებებთან მიმართებით. მართალია ინტერვიუ გაიმართა მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებთან, მაგრამ დამსაქმებელები იყვნენ უკვე პოტენციური დამსაქმებლები, რომლებიც უნივერსიტეტთან სხვა პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობდნენ და უნდა ითანამშრომლონ მომავალში აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით. ამ ადამიანების ჩართულობის დონე, ცნობადობის დონე ან თვითონ პროგრამის შემუშავების პროცესში რამე იყო თუ არა მათ მიერ რეკომენდაციები შეთავაზებული არ დადასტურებულა. რაც აღწერილი აქვთ კიდეც რეკომენდაციის ნაწილში. თუ აღწერილბით ნაწილს წაიკითხავენ იქ დაწვრილებით არის აღწერილი თუ რატომ გამოვლინდა ამ რეკომენდაციების არსებობის საჭიროება.

აბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ ექსპერტებს მიმართა დამაზუსტებელი შეკითხვით, კერძოდ, სამართლებრივი კუთხით რამდენად ლოგიკურია ახალ პროგრამაზე შემდეგი სახის რეკომენდაცია იყოს გაცემული: ,,გაიზარდოს კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში''.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ PDCA ციკლის მიხედვით ახალი პროგრამაც იმავე ციკლს გადის რასაც უკვე არსებული პროგრამა. ახალი პროგრამის შემთხვევაშიც მონიტორინგი საჭიროა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად 2023 წლის 23 ივნისის განსაზღვრის თაობაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო:17:21 სთ
დასრულების დრო: 17:44 სთ

ზეპირი მოსმენის საფუძველზე და რეკომენდაციების შინაარსიდან და დაწესებულების მზაობისა და მოტივაციიდან გამომდინარე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება, კერძოდ, 1.5 და 4.1 კომპონენტების შეფასება, ნაცვლად, "ნაწილობრივ შესაბამისია მოთხობნებთან", განსაზღვრა, როგორც, "მეტწილად შესაბამისობასია მოთხონებთან", თუმცა, აღნიშნულმა ცვლილელებმა, არ გამოიწვია სტანდარტების შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით (01/07/2025) აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2

პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით (01/07/2025) 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

დაკმაყოფილდეს დაწესებულების შუამდგომლობა და გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 23 ივნისი.

რეკომენდაციები:

1.1 რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის მიზნების ფორმულირება, რომ იყოს შედარებით უფრო ფართო და არა ვიწრო, ორიენტირებული სპეციფიურ დარგობრივ საკითხებსა და უნარებზე;

1.2 რეკომენდებულია, პროგრამის შედეგები სრულად მოვიდეს შესაბამისობაში დარგობრივ მახასიათებელთან, კერძოდ როგორიცაა პრაქტიკის კვლევის განხორციელების კომპეტენცია, მულტილინგვური სწავლება და ა.შ.

1.4 რეკომენდებულია გადაიხედოს კურსების თანმიმდევრობა, კურსებზე დაშვების წინაპირობა, რათა მაქსიმალური იყოს კურსებს შორის ლოგიკური კავშირები.

1.5 გადაიხედოს სილაბუსები და მოვიდეს შესაბამისობაში კურსის სწავლის შედეგებთან. მიზნები და თემატიკა, ზოგიერთ სილაბუსში არ მოდის თანხვედრაში მიზნები თემატიკასთან; ასევე, არის რიგი სილაბუსი, რომლის შინაარსიც არ შეესაბამება პროგრამის მიზანს და შედეგებს.

1.5 გადაიხედოს სასწავლო რესურსები და ლიტერატურა, კერძოდ, ლოგიკურად დაუკავშირდეს კურსის თემატიკას, რიგი სილაბუსების შემთხვევაში მიეთითოს ლიტერატურა და შეირჩეს სწორად, რათა უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა.

2.2 რეკომენდებულია, პედაგოგების მიერ სწავლების პროცესში გამოყენებულ იქნას სილაბუსით განსაზღვრული ის მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას

2.2 რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებულ იქნას ისეთი სავალდებულო კურსის სწავლება, რომელიც სტუდენტს გამოუმუშავებს პედაგოგიური კვლევის მეთოდებისა და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დაგეგმვა განხორციელებისთვის შესაბამის ცოდნასა და უნარებს

2.3 რეკომენდებულია, სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად, სწავლება-სწავლის მეთოდებიდან გამოყენებულ იქნას პრაქტიკის კვლევა, ქოუჩინგი;

2.4 რეკომენდებულია, სასწავლო კურსის სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების სისტემა სრულად მოვიდეს შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ კანონმდებლობასთან

2.4 რეკომენდებულია, შეფასების მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში მისი გადალახვის სავალდებულოების შესახებ მოხდეს შესაბამისი სამიზნე ჯგუფების (სტუდენტები, პროგრამის განმახორციელებლები) ინფორმირება და მისი შესრულების კონტროლი;

2.4 რეკომენდებულია, ჩამოყალიბებულ იქნას სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებული მკაფიო კრიტერიუმები, რათა მიღწეულ იქნას შეფასების ობიექტურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა და სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვადობა;

2.4 რეკომენდებულია, ინსტიტუციამ გაზარდოს სტუდენტთა ინფორმირება მიღებული შეფასების აპელაციის წესისა და პროცედურების შესახებ.
3.1 საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის მაჩვენებლის გასაზრდელად, მიზანშეწონილი იქნება თანამშრომელთა პრაქტიკული გადამზადება, საინფორმაციო შეხვედრების დაგეგმვა სტუდენტებთან.
4.1 გაძლიერდეს პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში, განხორციელებასა და მონიტორინგის პროცესში;
4.1 ცხადად გაიწეროს პროგრამის თანახელმძღვანელის ფუნქციები და ვალდებულებები და გაიმიჯნოს ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის ფუნქციები;
4.1 ფუნქცია-მოვალეობების ეფექტურად შესასრულებლად, შემუშავდეს მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
4.1 რეკომენდირებულია, გუნდის გაძლიერება ადრეული განათლების მიმართულებით კვალიფიციური პერსონალით, რომელთა როგორც სამეცნიერო, ასევე უშუალო სამუშაო გამოცდილება პირდაპირ უკავშირდება ადრეული განათლების სფეროს.
4.3 გაძლიერდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ადრეული განათლების მიმართულებით საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში დაბეჭდვის მიზნით.
4.3დაიგეგმოს ღონისძიებები პროგრამის განმახორციელებელი როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის ადრეული განათლების მიმართულებით კომპეტენციების გაძლიერებისა და მხარდაჭერის მიზნით;
5.1 რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების პროცესის დაგეგმვის, რელევანტური შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასებების განხორციელების პროცესში.
5.1 რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ტრენინგებისა თუ სამუშაო შეხვედრების ფორმატში უზრუნველყოს პროგრამის თანახელმძღვანელისთვის (ასევე, კონსულტანტისთვის) პროგრამის მართვასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება (გააცნოს უნივერსიტეტში დანერგილი ძირითადი მიდგომები, პრინციპები, უფლება-მოვალეობების) და მოამზადოს მმართველი გუნდი მათზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულებისთვის.
5.1 რეკომენდებულია, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი აქტიურად ჩაერთოს პროგრამის თვითშეფასების პროცესის დაგეგმვის, შესაბამისი მონაცემების შეგროვებაგაანალიზებისა და მიღებული შედეგების საფუძველზე თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში.
5.2 რეკომენდებულია, პროგრამის შეფასება დარგის უცხოელი ექსპერტის მიერ, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პროგრამაში ინტერნაციონალიზაციის კომპონენტების ზრდას (განსაკუთრებით კურიკულუმის დონეზე), ხოლო მეორე მხრივ, დაეხმარება დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამა დაუახლოვოს გლობალური შრომის ბაზრის მოთხოვნებს.
5.3 რეკომენდებულია, „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ საუნივერსიტეტო რეგულაციის მოთხოვნების შესაბამისად, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდეს უცხოური ანალოგი პროგრამების შესწავლა და დადარება წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამასთან.
5.3 რეკომენდებულია, გაიზარდოს კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, რაც შესაძლებელია განხორციელდეს როგორც სისტემური და სისტემატიური კვლევებით, ისე მათი პროგრამის სამუშაო ჯგუფში ჩართულობით.

რჩევები:

2.2 სასურველია, პრაქტიკის მენტორთა შერჩევა მოხდეს ზსსუ-ს მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე და პრაქტიკის ეფექტიანად განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების თანამონაწილეობით;
2.2 სასურველია, პრაქტიკის კომპონენტის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ინტენსიურად გაგრძელდეს პრაქტიკის მენტორთა გადამზადების პროცესი
2.3 ხელი შეუწყეთ (პერსონალის ტრენინგები, დაკვირვება ლექციებსა და სწავლების მეთოდებზე) სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი და ინტერაქციული სწავლებასწავლის მეთოდების გამოყენებას;
3.1 თვითშეფასების ჯგუფში, გარდა პროფესიული განათლების პროგრამისა, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართვა და პროცესში ჩართულობა წევრის ამპლუაში მუშაობაც განმავითარებელი შედეგის მომტანი იქნება პროგრამისთვის.
3.1 საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში სტუდენტთა ჩართვისა და აქტიურობის მიზნით, საჭიროა, დამატებითი ღონისძიებების ორგანიზება, სტუდენტთა ინფორმირება და წახალისება.
5.2 სასურველია, გარე შემფასებელს წვდომა ჰქონდეს პროგრამის სრულ პაკეტზე (პროგრამის აღწერილობა, სასწავლო კურსები, განმახორციელებელი პერსონალის CV-ები და ა.შ.), რათა დასკვნაში მოხდეს პროგრამის ყველა ძირითადი და მნიშვნელოვანი კომპონენტის გაანალიზება და შეფასება.
5.3 სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს შიდასაუნივერსიტეტო სააკრედიტაციო პროცესების მონიტორინგის სისტემა, რათა უზრუნველყოს სხვადასხვა დოზე სააკრედიტაციო პროცესის მართვასთან ერთად თვითშეფასების ანგარიშისა და საგანმანათლებლო პროგრამის დანართი დოკუმენტების გამართულობა.

სხდომა დახურულად გამოცხადდა 17:52 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი